



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

გზამკვლევი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის შესახებ

გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

განახლებულია 2024 წლის 29 თებერვალი

დოკუმენტი მომზადებულია რეგისტრატურის მიერ. სასამართლოს არ ეკისრება რაიმე ვალდებულება მასთან დაკავშირებით.

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ეს თარგმანი გამოქვეყნებულია ევროპის საბჭოსა და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს შეთანხმებით და თარგმნის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება თარგმანს. ტექსტის თარგმანი შესრულდა ევროპის საბჭოს პროექტის *„ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ხელშეწყობა საქართველოში“* ფარგლებში.“

გამომცემლებს ან ორგანიზაციებს, რომლებსაც სურთ ამ გზამკვლევის მთლიანად ან ნაწილობრივ თარგმნა და/ან გამრავლება ბეჭდური ან ელექტრონული გამოცემის ფორმატში ავტორიზაციის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად უნდა შეავსონ ფორმა *„თარგმნის გამრავლების ან ხელახლა გამოქვეყნების თხოვნა“*.

თუ გსურთ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რომელ ენებზე მიმდინარეობს ამჟამად პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების თარგმნა, გთხოვთ, იხილოთ [მიმდინარე თარგმანების](#) ჩამონათვალი.

წინამდებარე გზამკვლევი თავდაპირველად შედგენილია ინგლისურ ენაზე. მისი განახლება ხდება რეგულარულად, ხოლო ბოლოს განახლებულია 2024 წლის 29 თებერვალს. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

პრეცედენტული სამართლის გზამკვლევების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შემდეგი ვებგვერდიდან: <https://ks.echr.coe.int>. პუბლიკაციების შესახებ სიახლეების მისაღებად იხილეთ სასამართლოს ტვიტერის ანგარიში: https://twitter.com/ECHR_CEDH.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2024 წ.

სარჩევი

შენიშვნა მკითხველისთვის	5
შესავალი.....	7
I. 46-ე მუხლის შინაარსი	7
A. როდის გამოიყენება 46-ე მუხლი?	9
B. 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ხასიათი	9
1. ზოგადად	9
a. ინდივიდუალური ღონისძიებები.....	9
b. ზოგადი ღონისძიებები.....	10
2. კონკრეტულ საქმეში.....	11
C. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში მე-46 მუხლის შესაბამისად აღსრულების ვალდებულების გაგრძელება“	11
II. მითითებები სასამართლოს გადაწყვეტილებებში 46-ე მუხლის შესაბამისად	12
A. პრაქტიკის წარმოშობა	12
B. ამგვარი მითითებების სტატუსი და მიზანი.....	12
C. მითითების ტიპები	14
1. მითითებები 46-ე მუხლის თანახმად.....	14
a. რა მიზანს ემსახურება ისინი?	14
b. რა შემთხვევაში ვხვდებით გადაწყვეტილებაში ასეთ მითითებებს?	14
- მითითებები 46-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალურ მომჩივანთან მიმართებით (ინდივიდუალური ღონისძიებები)	14
c. რა შემთხვევებში ვხვდებით გადაწყვეტილებაში ასეთ მითითებებს?	15
- მითითებები 46-ე მუხლის თანახმად სტრუქტურულ პრობლემასთან მიმართებით (ზოგადი ღონისძიებები).....	15
2. პილოტური გადაწყვეტილებები.....	15
a. რა მიზანი აქვს მათ?	15
b. როდის ხდება მათი მიღება?	16
i. პროცედურული მნიშვნელობა - მსგავსი საქმეების გადაწყვეტა.....	17
III. იურისდიქცია	19
A. შესაბამისობის ზედამხედველობა	19
B. კითხვები დასაშვებობასთან დაკავშირებით	22
1. 35-ე მუხლის მე-2 (b) პუნქტი.....	22
2. 35-ე მუხლის 3(a) პუნქტი	25
3. 35-ე მუხლის 3 (b) პუნქტი	26
4. 37-ე მუხლი.....	26
IV. დანართი	28

A. სასამართლოს მითითებები 46-ე მუხლის თანახმად სხვადასხვა მუხლის მიხედვით	28
1. შესავალი.....	28
a. მუხლი 2.....	28
i. მატერიალური ასპექტი.....	28
ii. პროცედურული (ეფექტიანი გამოძიების) ასპექტი.....	28
iii. სპეციფიკური საკითხი: ოპერაციების დაგეგმვა და კონტროლი.....	31
b. მე-3 მუხლი.....	32
i. მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი: გაძევება.....	32
a. გაძევება.....	32
b. გადაცემა.....	33
c. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენცია.....	34
ii. პროცედურული ასპექტი.....	35
iii. კონკრეტული საკითხი: დაკარგული ადამიანები.....	35
a. მსხვერპლთა ოჯახის წევრების მდგომარეობა.....	35
b. გამოძიების ეფექტიანობა.....	37
iv. კონკრეტული საკითხი: პატიმრობის პირობები.....	38
a. ზომები, რომლებიც ამცირებს გადატვირთულობას და აუმჯობესებს პატიმრობის მატერიალურ პირობებს.....	38
b. სამართლებრივი დაცვის საშუალებები.....	40
c. არაფორმალური იერარქია პატიმრებს შორის.....	40
d. უცხოელთა დაკავების პირობები იმიგრაციის კონტექსტში.....	41
e. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დაკავების პირობები პრევენციული დაკავების ფარგლებში.....	41
v. კონკრეტული საკითხი: ოჯახში ძალადობა.....	42
c. მე-5 მუხლი.....	43
d. მე-6 მუხლი.....	44
e. მე-7 მუხლი.....	49
f. მე-9 მუხლი.....	50
g. მე-10 მუხლი.....	51
h. მე-14 მუხლი.....	51
i. მე-18 მუხლი მე-5 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში.....	52
j. 34-ე მუხლი.....	55
k. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი.....	55
l. 4-ე დამატებითი ოქმის 2-ე მუხლი.....	57
ციტირებული საქმეების სია	58

შენიშვნა მკითხველისთვის

წინამდებარე გზამკვლევი არის ერთ-ერთი პრეცედენტული სამართლის გზამკვლევიდან, რომლებსაც გამოსცემს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში, „სასამართლო“, „ევროპული სასამართლო“ ან „სტრასბურგის სასამართლო“). გზამკვლევის დანიშნულებაა პრაქტიკოსი იურისტების ინფორმირება ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებებისა და განჩინებების შესახებ. წინამდებარე გზამკვლევაში გაანალიზებული და შეჯამებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში, „კონვენცია“ ან „ევროპული კონვენცია“) 46-ე მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართალი. მკითხველები გაეცნობიან ამ სფეროში არსებულ ძირითად პრინციპებსა და შესაბამის პრეცედენტებს. გზამკვლევაში ციტირებული სასამართლო პრაქტიკის მაგალითები შეირჩა სასამართლოს წამყვანი, ძირითადი და/ან ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებიდან და განჩინებებიდან.*

სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები ემსახურება არა მხოლოდ უშუალოდ სასამართლოში შესული საქმეების გადაწყვეტას, არამედ, ზოგადად, განმარტავს, იცავს და ავითარებს კონვენციით დადგენილ წესებს, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოების, როგორც კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას (*Ireland v. the United Kingdom*, 1978 წლის 18 იანვარი, § 154, Series A no. 25, და უფრო ახალი საქმე *Jeronovičs v. Latvia* [GC], no. 44898/10, § 109, 2016 წლის 5 ივლისი).

ამრიგად, კონვენციით შექმნილი სისტემის დანიშნულებაა, განსაზღვროს საჯარო პოლიტიკის საკითხები საერთო ინტერესებისთვის და ამით აამაღლოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები და განავრცოს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული სასამართლო პრაქტიკა კონვენციის წევრ სახელმწიფოთა საზოგადოების მასშტაბით (*Konstantin Markin v. Russia* [GC], 30078/06, § 89, ECHR 2012). მართლაც, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა სფეროში კონვენციას აქვს „ევროპული საზოგადოებრივი წესრიგის კონსტიტუციური დოკუმენტის“ ფუნქცია (*Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret*

* ციტირებული პრეცედენტული სამართალი შესაძლოა, ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოსა და „ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის“ ერთ-ერთ ან ორივე ოფიციალურ ენაზე (ინგლისური და ფრანგული). თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა მითითება ეხება სასამართლოს პალატის გადაწყვეტილებებს საქმის არსებით მხარეზე. აბრევიატურა “(dec.)” მიუთითებს, რომ ციტირებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო “[GC]” მიუთითებს, რომ საქმე განიხილა დიდმა პალატამ. პალატის გადაწყვეტილებები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნების მომენტში არ იყო საბოლოო, აღნიშნულია ვარსკვლავით (*).

Anonim Şirketi v. Ireland [GC], no. 45036/98, § 156, ECHR 2005-VI, და უფრო ახალი საქმე *N.D. and N.T. v. Spain* [GC], nos. 8675/15 და 8697/15, § 110, 2020 წლის 13 თებერვალი).

გზამკვლევის დანართში ასახულია სასამართლოს მიერ 46-ე მუხლის თანახმად გაკეთებული ძირითადი მითითებები, კონვენციის სხვადასხვა მატერიალურ-სამართლებრივ მუხლებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 46-ე მუხლის თანახმად გაკეთებული მითითებები, რომლებიც მოხსენიებულია გზამკვლევსა და მის დანართში, არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ დარღვევის დადგენის ნაწილს. როგორც გზამკვლევშია მითითებული, ამგვარ მითითებებს არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ძალა, მსგავსად სასამართლოს მითითებებისა კონვენციის მატერიალურ მუხლებთან დაკავშირებით და ისინი წაკითხული უნდა იქნას ზედამხედველობის ფართო მექანიზმის კონტექსტში, რომელსაც კონვენციის 46-ე მუხლი არეგულირებს.

ახლახანს კონვენციის No. 15 ოქმის თანახმად, კონვენციის პრეამბულას დაემატა სუბსიდიარულობის პრინციპი. ეს პრინციპი „კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სასამართლოს საერთო პასუხისმგებლობას აკისრებს“ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ხოლო ეროვნულმა ხელისუფლებამ და სასამართლოებმა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება და გამოყენება უნდა მოახდინონ იმგვარად, რაც უზრუნველყოფს კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავისუფლებების სრულად ამოქმედებას (*Grzęda v. Poland* [GC], § 324).

წინამდებარე გზამკვლევი შეიცავს მითითებებს საკვანძო სიტყვებზე, კონვენციის ციტირებული თითოეული მუხლიდან და დამატებითი ოქმებიდან. თითოეულ საქმეში განხილული სამართლებრივი საკითხები მოკლედ არის შეჯამებული [საკვანძო სიტყვების ჩამონათვალში](#), რომლებიც შედგება უშუალოდ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებიდან (უმეტეს შემთხვევაში) აღებული ტერმინებისგან.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის [HUDOC-ის მონაცემთა ბაზა](#) იძლევა [საკვანძო სიტყვებით ძიების შესაძლებლობას](#). საკვანძო სიტყვებით ძიება მსგავსი სამართლებრივი შინაარსის მეორე დოკუმენტების ჯგუფის მოძიების შესაძლებლობას იძლევა (სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები თითოეულ საქმეში შეჯამებულია საკვანძო სიტყვების საშუალებით). საკვანძო სიტყვები ინდივიდუალურ საქმეებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ HUDOC-ის ვებგვერდზე, „საქმის დეტალების ჩვენება“ ღილაკზე დაწკაპუნებით. HUDOC-ის მონაცემთა ბაზისა და საკვანძო სიტყვების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ [HUDOC-ის მომხმარებლის სახელმძღვანელო](#).

შესავალი

1. კონვენციის სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის შეფასებას. ამრიგად, კონვენცია ხელშემკვრელ მხარეებს არა მხოლოდ ავალდებულებს კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვას (მუხლი 1), არამედ, აგრეთვე ადგენს სასამართლო ორგანოს - სასამართლოს (მუხლი 19), რომელიც უფლებამოსილია, დაადგინოს კონვენციის დარღვევები, ხოლო მის გადაწყვეტილებებს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო ძალა აქვს (46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). გარდა ამისა, კონვენცია ადგენს მექანიზმს გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობისთვის და შესაბამის უფლებამოსილებას ანიჭებს მინისტრთა კომიტეტს (46-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ზემოხსენებული მექანიზმი ხაზს უსვამს კონვენციის სისტემაში სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულების მნიშვნელობას (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2) [GC], 2009, § 84*). საქმეში *Kavala v. Türkiye* [GC], 2022, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონვენციის მთლიანი სტრუქტურა დაფუძნებულია ზოგად ვარაუდზე, რომ წევრ სახელმწიფოებში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები კეთილსინდისიერად მოქმედებენ. აღნიშნული სტრუქტურა მოიცავს ზედამხედველობის პროცედურას და გადაწყვეტილებების აღსრულება ასევე, უნდა დაეფუძნოს კეთილსინდისიერებას და განხორციელდეს გადაწყვეტილების „დასკვნებისა და სულისკვეთების“ შესაბამისად. სავალდებულო ძალის მექანიზმი, საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებლობა ეწინააღმდეგება სამართლის უზენაესობის პრინციპს. ეს ის პრინციპია, რომლის პატივისცემის ვალდებულებაც ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა კონვენციის რატიფიცირების შედეგად იკისრეს (§§ 169-170).

I. 46-ე მუხლის შინაარსი

კონვენციის 46-ე მუხლი - გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

„1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

3. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულება ყოვნდება გადაწყვეტილების განმარტებასთან

დაკავშირებული პრობლემის გამო, მას შეუძლია სასამართლოს განმარტებისათვის მიმართოს. ეს გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის უფლებამოსილი წევრების ხმათა ორი მესამედით.

4. თუ მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ მაღალი ხელშემკვრელი მხარე უარს ამბობს დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, კომიტეტს შეუძლია, ამ მხარისათვის ოფიციალური შეტყობინების შემდეგ და კომიტეტის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხმათა ორი მესამედით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მიმართოს სასამართლოს იმის დასადგენად, დაარღვია თუ არა ამ ხელშემკვრელმა მხარემ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება.

5. თუ სასამართლო დაადგენს 1-ლი პუნქტის დარღვევას, ის საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს მისაღები ზომების განსაზღვრის მიზნით. თუ სასამართლო ასეთ დარღვევას ვერ დაადგენს, იგი საქმეს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც წყვეტს საქმესთან დაკავშირებულ პროცედურას.“

HUDOC-ის საკვანძო სიტყვები

პილოტური გადაწყვეტილება (46): სისტემური პრობლემა (46); ზოგადი ღონისძიებები (პილოტური გადაწყვეტილება) (46); ინდივიდუალური ღონისძიებები (პილოტური გადაწყვეტილება) (46)

გადაწყვეტილებას დამორჩილება (46-1) – საქმის მხარეები (46-1)

გადაწყვეტილების აღსრულება (46-2):

სამართლიანი დაკმაყოფილება (46-2): საურავი (46-2); ყადაღისგან თავისუფალი (46-2)

ინდივიდუალური ღონისძიებები (46-2): საქმის წარმოების განახლება (46-2); შეწყობა (46-2); ნასამართლობის გაქარწყლება (46-2)

ზოგადი ღონისძიებები (46-2): საკანონმდებლო ცვლილებები (46-2);

ცვლილებები რეგულაციებში (46-2); ცვლილებები პრეცედენტულ სამართალში (46-2)

წარმოება დარღვევის შესახებ (46-4)

2. 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს ხელშემკვრელი სახელმწიფოების ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს გადაწყვეტილებებს. აღნიშნული მუხლის შემდგომ პუნქტებში წარმოდგენილია პროცედურული ჩარჩო,

სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შესრულების მიზნით გადადგმული ნაბიჯების შესაფასებლად.

A. როდის გამოიყენება 46-ე მუხლი?

3. 46-ე მუხლი გამოიყენება ყველა იმ გადაწყვეტილების მიმართ, სადაც სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა. 46-ე მუხლის ამოქმედება ნიშნავს, რომ სასამართლო მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, აღმოფხვრას დარღვევა და გამოასწოროს მისი შედეგები (*Papamichalopoulos and Others v. Greece* (მუხლი 50), 1995, § 34).

B. 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების ხასიათი

1. ზოგადად

4. ხელშემკვრელ სახელმწიფოს ევალება არა მხოლოდ მომჩივნისთვის იმ თანხის გადახდა, რომელიც მას სასამართლომ მიაკუთვნა სამართლიანი დაკმაყოფილების სახით, არამედ, აგრეთვე, ინდივიდუალური და/ან, საჭიროების შემთხვევაში, ზოგადი ღონისძიებების განხორციელება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებულ სამართლებრივ წესრიგში, რათა აღმოფხვრას სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა და გამოსწორდეს მისი შედეგები (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 147).

5. მოპასუხე სახელმწიფოს ენიჭება უფლებამოსილება, თავად აარჩიოს საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფს სასამართლოს იმ გადაწყვეტილების შესრულებას, რომელშიც დარღვევა დადგინდა. გადაწყვეტილების აღსრულების ფორმასთან დაკავშირებული დისკრეცია ასახავს არჩევანის თავისუფლებას, რომელიც თან ახლავს კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მთავარ მოვალეობას, უზრუნველყოს გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები (*Papamichalopoulos and Others v. Greece* (Article 50), 1995, § 34).

a. ინდივიდუალური ღონისძიებები

6. სახელმწიფო, რომელიც პასუხისმგებელია უკანონო ქმედებაზე, ვალდებულია განახორციელოს რესტიტუცია, რომელიც გულისხმობს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რომელიც უკანონო ქმედებამდე არსებობდა, თუ რესტიტუცია არ არის „მატერიალურად შეუძლებელი“ და „არ აწესებს არაპროპორციულ ტვირთს, რომელიც აღემატება კომპენსაციის ნაცვლად

რესტიტუციით მიღებულ სარგებელს“ (იხ. საერთაშორისო დონეზე არამართლზომიერ მოქმედებებზე სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ (ARSIWA) საერთაშორისო სამართლის კომისიის დებულებების 35-ე მუხლი)¹. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია, ზოგადი სტანდარტია რესტიტუცია, თუმცა სახელმწიფო შესაძლოა გათავისუფლდეს ამ პასუხისმგებლობისგან - ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ იგი დაადასტურებს შესაბამისი გარემოებების არსებობას (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 151). მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებაა, შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში აღმოფხვრას ნებისმიერი დაბრკოლება, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მომჩივნის მდგომარეობის სათანადოდ გამოსწორებას (*Maestri v. Italy* [GC], 2004, § 47). რაც შეეხება ინდივიდუალურ ღონისძიებებს, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზანია, მომჩივნები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც იქნებოდნენ კონვენციის მოთხოვნები რომ არ დარღვეულიყო. არჩეული ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელებისას, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ძირითად მიზანს წარმოადგენს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიღწევა (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 150). ინდივიდუალური ღონისძიებები უნდა იყოს დროული, ადეკვატური და საკმარისი, რათა უზრუნველყოს მაქსიმალური რეპარაცია სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევებისთვის (*ibid.*, § 170).

7. თუ დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიღწევა, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული. მეორე მხრივ, თუ ეროვნული კანონმდებლობა არ იძლევა - ან მხოლოდ ნაწილობრივ იძლევა - დარღვევის შედეგების გამოსწორების შესაძლებლობას, 41-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მსხვერპლი უზრუნველყოს შესაბამისი დაკმაყოფილებით (*Brumărescu v. Romania* (სამართლიანი დაკმაყოფილება) [GC], 2001, § 20).

b. ზოგადი ღონისძიებები

8. ზოგადმა ღონისძიებამ უნდა უზრუნველყოს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენცია. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის რეკომენდაციაზე (Rec(2004)6) შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ², რომლის თანახმადაც სახელმწიფოებს ეკისრებათ ზოგადი ვალდებულება, გადაჭრან

¹ საერთაშორისო დონეზე არამართლზომიერი ქმედებებისთვის სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის კომისიის (ARSIWA) დებულებების 35-ე მუხლი.

² მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 12 მაისის რეკომენდაცია (Rec(2004)6) შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გაუმჯობესების შესახებ.

პრობლემები, რომლებიც წარმოადგენს დადგენილი დარღვევების ძირეულ მიზეზს. ამას გარდა, კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოები კონვენციის რატიფიცირებით კისრულობენ ვალდებულებას, უზრუნველყონ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობა (*Scordino v. Italy* (no. 1) [GC], 2006, §§ 232-234).

2. კონკრეტულ საქმეში

9. გადაწყვეტილების აღსრულების ზომები, რომელთაც მოპასუხე სახელმწიფო მიმართავს, შესაბამისობაში უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასა და მასში წარმოდგენილ დასკვნებთან (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 186). იმ სამართლებრივი ვალდებულებების ფარგლები, რომლებიც მომდინარეობს 46-ე მუხლის საფუძველზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებიდან, განისაზღვრება იმ მიზეზებით, რომლებიც საფუძველად დაედო დარღვევის დადგენას (*ibid.*, § 187).

C. წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში მე-46 მუხლის შესაბამისად აღსრულების ვალდებულების გაგრძელება“

10. გადაწყვეტილებების სავალდებულო ძალის, მათი აღსრულებისა და მინისტრთა კომიტეტის მიერ ზედამხედველობის საკითხი წამოიჭრა რუსეთის ფედერაციის წევრობის შეწყვეტის კონტექსტში. 2022 წლის 16 მარტს, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია CM/Res(2022)2, რომლის მიხედვითაც, რუსეთის ფედერაციამ შეწყვიტა ევროპის საბჭოს წევრობა იმავე თარიღიდან. 2022 წლის 22 მარტს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პლენარულ სესიაზე, მიიღო „რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ ევროპის საბჭოში წევრობის შეწყვეტის შედეგების შესახებ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 58-ე მუხლის გათვალისწინებით“. „ამ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია 2022 წლის 16 სექტემბერს შეწყვეტდა კონვენციის მხარედ ყოფნას. 2022 წლის 23 მარტს, მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია CM/Res(2022)3, რომლის თანახმადაც, მინისტრთა კომიტეტი აგრძელებს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობას, და რუსეთის ფედერაციას ევალება მათი შესრულება.

11. სამართლიანმა სასამართლომ კონკრეტულად აღიარა ეს გაგრძელებული ვალდებულება აღსრულებისას, როდესაც აღნიშნული იყო, რომ შემდეგ ინტერფედერაციულ საქმეში, 46 მუხლი მოითხოვს, რომ მინისტრთა კომიტეტმა განსაზღვროს ეფექტური მექანიზმი სასამართლოს გადაწყვეტილებების განხორციელებისათვისაც იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფოს,

რომელიც აღარ არის კონვენციის მხარე. ამ კონტექსტში იგი აღნიშნავდა, რომ მინისტრთა კომიტეტი აგრძელებდა თავის გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, და რუსეთის ფედერაციას, ყოველივე ამის გათვალისწინებით, ევალეზობდა მათ განხორციელება, რაც წერია კონვენციის მე-46 მუხლის 1 პუნქტში, მიუხედავად ევროპის საბჭოს წევრობის შეწყვეტისა (*Georgia v. Russia (II)*) (სამართლიანი კომპენსაცია) [GC], 2023, § 46).

II. მითითებები სასამართლოს გადაწყვეტილებებში 46-ე მუხლის შესაბამისად

A. პრაქტიკის წარმოშობა

12. იმ ღონისძიებების ფარგლებში, რომლებიც უზრუნველყოფენ კონვენციის სისტემის ეფექტიანობას, მინისტრთა კომიტეტმა 2004 წლის 12 მაისს მიიღო რეზოლუცია (Res(2004)3) იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომლებშიც სისტემური პრობლემების გამოვლენა მოხდა. რეზოლუციაში კომიტეტი ხაზს უსვამს ძირეული პრობლემების გამოვლენასა და აღსრულების საჭირო ღონისძიებების იდენტიფიცირებაში სახელმწიფოთა დახმარების ინტერესს (პრეამბულის მე-7 პუნქტი) და სასამართლოს სთავაზობს, „გადაწყვეტილებებში, რომლებიც ადგენს კონვენციის დარღვევას, მიუთითოს, თუ რას მიიჩნევს ძირეულ სისტემურ პრობლემად და ამ პრობლემის წყაროდ, კერძოდ, როდესაც სავარაუდოდ დარღვევა გამოიწვევს არაერთი საჩივრის წარდგენას, რათა სახელმწიფოებს დაეხმაროს სათანადო გადაწყვეტის მოძიებაში და ხელი შეუწყოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გადაწყვეტილებების აღსრულების ზედამხედველობას“ (რეზოლუციის I პარაგრაფი). სასამართლომ პირველ პილოტურ გადაწყვეტილებაში ცალსახად მიუთითა აღნიშნულ რეზოლუციაზე და ის განიხილა სასამართლოს მზარდი დატვირთულობის კონტექსტში, განსაკუთრებით, იმ საქმეების შედეგად, რომლებიც ერთი და იგივე სტრუქტურული ან სისტემური პრობლემიდან მომდინარეობს (*Broniowski v. Poland* [GC], 2004, § 190).

B. ამგვარი მითითებების სტატუსი და მიზანი

13. სასამართლოს გადაწყვეტილებები არსებითად დეკლარაციული ხასიათისაა, თუმცა, გარკვეულ განსაკუთრებულ გარემოებებში, სასამართლომ შესაძლოა მიუთითოს, თუ რა სახის ღონისძიება უნდა იქნეს განხორციელებული იმისათვის, რომ დარღვევა აღმოიფხვრას. ზოგ შემთხვევაში, სასამართლო მიუთითებს აღსრულების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ზოგად ღონისძიებებთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სასამართლოსა და

მინისტრთა კომიტეტს შორის კონვენციის მიხედვით არსებული ინსტიტუციური ბალანსისა და აღსრულების პროცესში სახელმწიფოების პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, საბოლოო არჩევანს ღონისძიებებთან დაკავშირებით აკეთებს სახელმწიფო, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ([Ilgar Mammadov v. Azerbaijan](#) [GC], 2019, § 182). სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღსრულებასთან დაკავშირებით მკაფიო მითითების არსებობა ან არარსებობა არ არის გადამწყვეტი იმის დასადგენად, სახელმწიფომ შეასრულა თუ არა კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად დაკისრებული ვალდებულებები. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია ის, თუ რამდენად შეესაბამება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები სასამართლოს გადაწყვეტილების სულისკვეთებასა და მასში წარმოდგენილ დასკვნებს ([ibid.](#), § 186). სასამართლომ განმარტა, რომ ზედამხედველობის პროცესის შემოფარგვლა სასამართლოს ცალსახა მითითებებით, პროცესს მოაშორებდა იმ მოქნილობას, რომელიც მინისტრთა კომიტეტს ესაჭიროება, რათა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და ასევე, მომჩივნის ცვალებადი მდგომარეობის სათანადოდ გათვალისწინებით, უზრუნველყოს იმ ღონისძიებების განხორციელების ზედამხედველობა, რომლებიც შესაფერისი, დროული, ადეკვატური და საკმარისია ([ibid.](#), § 184). მინისტრთა კომიტეტმა შესაძლოა განიხილოს აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებები, მაგალითად, როდესაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ გამოვლინდა გარკვეული ობიექტური ფაქტორები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზედამხედველობის პროცესში ([ibid.](#), § 183).

14. სასამართლომ, აგრეთვე, განმარტა, რომ კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად გაკეთებული მითითებები, პირველ რიგში, სასამართლოს საშუალებას აძლევს, გადაწყვეტილების მიღებისთანავე უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული დაცვის ეფექტიანობა და მოახდინოს უფლებების დარღვევის გაგრძელების პრევენცია. ამასთან, აღნიშნული შემდგომ, მინისტრთა კომიტეტს ეხმარება საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობაში. ამგვარი მითითებები შესაბამის სახელმწიფოს საშუალებას აძლევს და ავალდებულებს, მაქსიმალურად სწრაფად აღმოფხვრას სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა ([Kavala v. Türkiye](#) [GC], 2022, § 148).

C. მითითების ტიპები

1. მითითებები 46-ე მუხლის თანახმად

a. რა მიზანს ემსახურება ისინი?

15. 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში მოპასუხე სახელმწიფოს დასახმარებლად, სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილებაში მიუთითოს, თუ რა ტიპის ინდივიდუალური და/ან ზოგადი ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს, რათა აღმოიფხვრას მდგომარეობა, რომელიც კონვენციის დარღვევას განაპირობებს (*Suso Musa v. Malta*, 2013, § 120).

16. სასამართლოს მიზანია, ხელი შეუწყოს იმ ხარვეზის სწრაფ და ეფექტიან გამოსწორებას, რომელიც იდენტიფიცირებულ იქნა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სისტემაში. მას შემდეგ, რაც მოხდება ამგვარი ხარვეზის განსაზღვრა, სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა - მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ - განახორციელოს (თუ საჭიროა, რეტროსპექტულად) დარღვეული უფლების აღსადგენად საჭირო ღონისძიებები კონვენციით გათვალისწინებული სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად, რათა სამომავლოდ სასამართლოს აღარ მოუწიოს დარღვევის განმეორებით დადგენა მსგავს საქმეებში (*Baybaşin v. the Netherlands*, 2006, §79; *Aliyev v. Azerbaijan*, 2018, § 222).

b. რა შემთხვევაში ვხვდებით გადაწყვეტილებაში ასეთ მითითებებს?

- მითითებები 46-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალურ მომჩივანთან მიმართებით (ინდივიდუალური ღონისძიებები)

17. გარკვეულ სიტუაციებში, სასამართლომ შესაძლოა სასარგებლოდ ან საჭიროდ მიიჩნიოს მოპასუხე მთავრობისთვის მითითება, თუ რა ტიპის ღონისძიებები შეიძლება იქნას ან უნდა იქნას გატარებული სახელმწიფოს მიერ, რათა აღმოიფხვრას მდგომარეობა, რომელმაც დარღვევის დადგენა განაპირობა. ზოგჯერ დარღვევა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, არ ტოვებს რეალური არჩევანის შესაძლებლობას საჭირო ინდივიდუალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით (*Hirsi Jamaa and Others v. Italy* [GC], 2012, §§ 209-211; *Assanidze v. Georgia* [GC], 2004, § 202; *Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, 2010, § 171; *Savridin Dzhurayev v. Russia*, 2013, §§ 252-254; *Taganrog LRO and Others v. Russia*,* 2022, § 290).4j

18. რაც შეეხება ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლებას, სასამართლოს არ აქვს ამგვარი ღონისძიების განხორციელების მითითების უფლებამოსილება. ამავდროულად, თუ პირი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმ სამართალწარმოების შედეგად, რომლის ფარგლებშიც დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები,

სასამართლომ შესაძლოა გადაწყვეტილებაში მიუთითოს, რომ საქმის წარმოების განახლება ან საქმის ხელახლა განხილვა, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, წარმოადგენს დარღვევის გამოსწორების სათანადო გზას. მეორე მხრივ, ზოგიერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის შემდგომ, თავადვე ცალსახად გამორიცხა საქმის წარმოების განახლება, სადაც უკვე მიღებული იყო საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები (*Moreira Ferreira v. Portugal* (no. 2) [GC], 2017, §§ 49 და 51, ასევე, *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, §§ 311-314). საქმის წარმოების განახლების საკითხი, აგრეთვე, განხილული იქნა საქმეში, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევა (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა). კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ გარემოებებში მოპასუხე სახელმწიფოს არ ეკისრებოდა არცერთი საქმის წარმოების განახლების ვალდებულება (*Tsonyo Tsonev v. Bulgaria* (no. 4), 2021, §§ 62-66).

**c. რა შემთხვევებში ვხვდებით გადაწყვეტილებაში ასეთ მითითებებს?
- მითითებები 46-ე მუხლის თანახმად სტრუქტურულ პრობლემასთან მიმართებით (ზოგადი ღონისძიებები)**

19. თუ სასამართლო ადგენს, რომ მსგავს სიტუაციებში ირღვევა ან შესაძლოა დაირღვეს კონვენცია, იგი როგორც წესი, უთითებს, რომ ეროვნულ დონეზე საჭიროა ზოგადო ღონისძიებების განხორციელება; ამასთან, აღნიშნული ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელზეც გავლენა აქვს კონვენციის საწინააღმდეგო პრაქტიკას. ამას გარდა, ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს სასამართლოს მიერ ზოგად პრაქტიკასთან მიმართებით დადგენილი დარღვევის აღმოფხვრა, რათა კონვენციის საფუძველზე შექმნილ სისტემას საფრთხე არ შეუქმნას დიდი ოდენობით განმეორებითმა საჩივრებმა, რომელიც ერთსა და იმავე მიზეზს უკავშირდება (*Baybaşin v. the Netherlands*, 2006, § 79).

2. პილოტური გადაწყვეტილებები

a. რა მიზანი აქვს მათ?

20. გადაწყვეტილებების ეფექტიანი აღსრულების ხელშეწყობისთვის, სასამართლომ შესაძლოა მიმართოს პილოტური გადაწყვეტილების პროცედურას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, გადაწყვეტილებაში მკაფიოდ მიუთითოს არსებული სტრუქტურული პრობლემების შესახებ, რომლებიც საფუძველად უდევს დარღვევებს და ასევე, იმ კონკრეტული ღონისძიებების ან ქმედებების შესახებ, რომლებიც მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს სტრუქტურული

პრობლემების გამოსასწორებლად. თუმცა, სასამართლოს აღნიშნული მიდგომა ხორციელდება კონვენციის ორგანოთა შესაბამისი ფუნქციების მიმართ პატივისცემის საფუძველზე, კერძოდ: კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებების განხორციელების შეფასება მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებას წარმოადგენს (*Greens and M.T. v. the United Kingdom*, 2010, § 107).

21. პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, მოპასუხე სახელმწიფოს უბიძგოს დიდი ოდენობით ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტისკენ, რომლებიც ეროვნულ დონეზე არსებული ერთი და იმავე სტრუქტურული პრობლემიდან მომდინარეობს და ამრიგად, განახორციელოს სუბსიდიარულობის პრინციპი, რომელიც კონვენციის სისტემის საფუძველია (*Varga and Others v. Hungary*, 2015, § 96).

22. პილოტური გადაწყვეტილების პროცესის ორმაგი მიზანია, ერთი მხრივ, შეამციროს საფრთხე კონვენციის სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ხელმისაწვდომი გახადოს ყველაზე სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა იმ დისფუნქციის, რომელიც ეხება კონვენციის უფლებების დაცვის პროცესს ეროვნული სამართლებრივი წესრიგში. პილოტური გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში იმ სისტემური პრობლემის აღმოჩენით არსებული და პოტენციური მსხვერპლების ინტერესების ჩართვით, პროცედურა მიზნად ისახავს სრულყოფილი კომპენსაციის გადანაწილებას ამ დისფუნქციის ყველა რეალურ და პოტენციურ მსხვერპლზე, ასევე კონკრეტულ განმცხადებელზე(ებზე) (პილოტურ საქმეში). სამართლებრივი პრინციპების დეტალური და უახლესი შეჯამებისათვის, რომელიც ეხება პილოტურ გადაწყვეტილებებს, იხ. *Wałęsa v. Poland*, 2023, §§ 314-318).

b. როდის ხდება მათი მიღება?

23. სასამართლო პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურას მიმართავს ისეთ სიტუაციებში, რომლებიც გავლენას ახდენს ბევრ ადამიანზე და სადაც არსებობს ამ ადამიანებისათვის ეროვნულ დონეზე სწრაფი და სათანადო სამართლებრივი დაცვის მექანიზმის დაუყოვნებლივ უზრუნველყოფის საჭიროება. პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურის გამოყენებისას სასამართლო, აგრეთვე, ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ხარვეზების არსებობა იწვევს კონვენციის განმეორებით დარღვევებს, რაც არა მხოლოდ კონვენციის წინაშე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ფაქტორია, წარსულ და ამჟამინდელ სიტუაციასთან დაკავშირებით, არამედ, აღნიშნული აგრეთვე საფრთხეს უქმნის კონვენციის თანახმად შექმნილი საზედამხედველო

სისტემის ეფექტიანობას. სასამართლო, აგრეთვე, ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მომჩივნების სიტუაციის განცალკევება შეუძლებელია იმ ზოგადი პრობლემისგან, რომელიც სტრუქტურული დისფუნქციიდან მომდინარეობს და რომელიც გავლენას ახდენს ძალიან ბევრ ადამიანზე და სავარაუდოდ, მომავალშიც ასე გაგრძელდება (*Varga and Others v. Hungary*, 2015, § 111, *Rezmiveş and Others v. Romania*, 2017, §§ 106- 111).

i. პროცედურული მნიშვნელობა - მსგავსი საქმეების გადაწყვეტა

24. საქმეზე *Broniowski v. Poland* [GC], 2004, მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, სასამართლოს თანმიმდევრულ პრაქტიკად ჩამოყალიბდა პილოტურ გადაწყვეტილებებში სხვადასხვა პროცედურული გადაწყვეტილებების მითითება, რომლებიც ეხება ახალ საქმეებზე რეაგირების საკითხს - საქმეები, რომლებთან დაკავშირებითაც დაწყებულია კომუნიკაცია მოპასუხე სახელმწიფოსთან და ახალი საჩივრები. მაგალითად, ხშირად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, მიმდინარე მსგავსი საქმეების განხილვა ჩერდება მანამ, სანამ მოპასუხე სახელმწიფო განახორციელებს ზოგად ღონისძიებებს. სასამართლომ, აგრეთვე, შეწყვიტა მის წინაშე არსებული მიმდინარე მსგავსი საჩივრების განხილვა და შეაჩერა საჩივრების მიღების პროცესი, რომლებიც პილოტური გადაწყვეტილების მიღების თარიღისთვის ჯერ კიდევ არ იყო დარეგისტრირებული (*Greens and M.T. v. the United Kingdom*, 2010, §§ 121-122). მას აგრეთვე წინასწარ გამოუცხადებია განჩინებები მიმდინარე და მომავალი საქმეების დასაშვებობასთან დაკავშირებით და დაუდგენია, რომ გარკვეულ გარემოებებში, მან შესაძლოა ისინი დაუშვებლად მიიჩნიოს, კონვენციის შესაბამისად (*Suljagić v. Bosnia and Herzegovina*, 2009, § 65). საჭიროების შემთხვევაში, სასამართლომ პილოტურ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების თარიღამდე წარდგენილ ყველა მსგავს საჩივართან დაკავშირებით კომუნიკაციის დაწყებაზე (*Rutkowski and Others v. Poland*, 2015, §§ 226-227, და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მეცხრე პუნქტი). აღნიშნული პრაქტიკა, რომელიც გადაწყვეტების ფართო სპექტრს მოიცავს, ასახავს იმ ლოგიკას, რომელსაც ეყრდნობა პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურა - კერძოდ, ის რომ ყველა საქმე, რომელიც ერთი და იმავე სისტემური ძირეული მიზეზიდან მომდინარეობს, ერთიანდება პილოტური გადაწყვეტილების ჩარჩოში და ინტეგრირდება აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში (*Burmych and Others v. Ukraine*, 2017, § 166).

25. სასამართლოს რეგლამენტის 61-ე წესის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, გადადოს ყველა მსგავსი მიმდინარე საჩივრის განხილვა, სანამ მოპასუხე სახელმწიფო განახორციელებს ღონისძიებებს სისტემაში არსებული

ხარვეზის გამოსასწორებლად. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საჩივრების განხილვის გადადება წარმოადგენს შესაძლებლობას და არა ვალდებულებას, რასაც მკაფიოდ ადასტურებს 61-ე წესის მე-6 პუნქტში სიტყვების „საჭიროების შესაბამისად“ გათვალისწინება და იმ მიდგომების ფართო სპექტრი, რომლებიც წინა პილოტურ გადაწყვეტილებებში იქნა გამოყენებული (*Varga and Others v. Hungary*, 2015, § 114 შემდგომი მითითებებით).

26. ზოგადად, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში შესაძლებელია სამი ტიპის მიდგომის იდენტიფიცირება, ზოგადი ღონისძიებების განხორციელების ვადებთან დაკავშირებით. როდესაც სასამართლომ მოახდინა იმ პრობლემის იდენტიფიცირება, რომელიც განაპირობებდა დარღვევას, თუმცა მას კვლავ წარედგინებოდა განმეორებითი საქმეები, სასამართლომ აღნიშნა, რომ [ზოგადი ღონისძიებების განხორციელების] ხანგრძლივი გაჭიანურება მიუთითებდა კონკრეტული ვადების განსაზღვრის საჭიროებაზე და ის ამ ვადებს პილოტურ გადაწყვეტილებაში უთითებს (*Greens and M.T. v. the United Kingdom*, 2010, § 115). ზოგ შემთხვევაში, სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საჭირო იყო გონივრული ვადის დაცვა, ვინაიდან საკითხი მნიშვნელოვანი და გადაუდებელი იყო და საფრთხე ექმნებოდა ფუნდამენტურ უფლებას, თუმცა, მას არ განუსაზღვრავს კონკრეტული ვადები, განაცხადა რა, რომ მოცემული პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე, მთავრობამ სათანადო ნაბიჯები მაქსიმალურად მოკლე ვადაში უნდა უნდა გადადგას (*Varga and Others v. Hungary*, 2015, §112). და ბოლოს, ზოგ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობისა და აქტუალურობის, ისევე როგორც მოცემული უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭირო იყო გონივრული ვადის განსაზღვრა ზოგადი ღონისძიებების განხორციელებისთვის. თუმცა, მან აღნიშნა, რომ ასეთი ვადა უნდა განესაზღვრა არა სასამართლოს, არამედ მინისტრთა კომიტეტს. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა ექვსთვიანი ვადა იმისათვის, რომ მოპასუხე სახელმწიფოს, მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობით, წარმოედგინა ზუსტი ვადები სათანადო ზოგადი ღონისძიებების განხორციელებისთვის (*Rezmives and others v. Romania*, 2017, § 126).

27. თუ მოპასუხე სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ღონისძიებების მიღებას საპილოტე გადაწყვეტილების შემდგომ და გააგრძელებს კონვენციის დარღვევას, სასამართლოს აღარ რჩება სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ გააგრძელოს ყველა გადადებული საჩივრის განხილვა (იხ. § 20 ზემოთ) და გადაწყვეტილებების მიღება, რათა უზრუნველყოს კონვენციის ეფექტიანი დაცვა (*Rezmiveş and Others v. Romania*, 2017, § 105).

28. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სასამართლომ გააგრძელა მსგავსი საჩივრების განხილვა პილოტური გადაწყვეტილების კონტექსტში და აღნიშნული

გადაწყვეტილების აღსრულებამ ვერ აღმოფხვრა სისტემური პრობლემის ძირეული გამომწვევი მიზეზი, სასამართლომ დაადგინა, რომ ყველა მიმდინარე მსგავსი საჩივრის ხელახლა განხილვა ვერ უზრუნველყოფდა დასახული მიზნის მიღწევას. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Burmych and Others v. Ukraine*, 2017 (§§ 176-199), სასამართლომ დაადგინა, რომ მიმდინარე და მომავალი საქმეები პილოტური გადაწყვეტილების აღსრულების შემადგენელი ნაწილი იყო. მან მიუთითა, რომ პილოტური გადაწყვეტილების ფარგლებში უკვე მოხდა სამართლებრივი საკითხების გადაჭრა კონვენციის შესაბამისად და მიმდინარე მსგავსი საქმეები ამორიცხა განსახილველი საქმეების სიიდან. სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი გადაწყვეტა, მათ შორის, ინდივიდუალური ღონისძიებების განხორციელება, უზრუნველყოფილი უნდა იქნას აღსრულების ზოგადი ღონისძიებების ფარგლებში, რომელიც მოპასუხე სახელმწიფომ უნდა დაანერგოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ. სასამართლოს მიერ ამ საქმეების განხილვის გაგრძელება კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, რაიმე სასარგებლო მიზანს ვერ მოემსახურებოდა. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ იგი ინარჩუნებს საჩივრების ხელახლა განხილვის უფლებამოსილებას (მუხლი 37 § 2) და აღნიშნა, რომ შესაძლოა ორი წლის განმავლობაში კვლავ შეაფასოს მდგომარეობა, რათა დაადგინოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია საჩივრების ხელახლა მიღება (*Burmych and Others v. Ukraine*, 2017, § 223).

III. იურისდიქცია

A. შესაბამისობის ზედამხედველობა

29. ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებებთან შესაბამისობის საკითხი სცილდება სასამართლოს იურისდიქციას, თუ ის არ წამოიჭრება კონვენციის 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული „დარღვევის პროცედურის“ კონტექსტში (*Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)* [GC], 2017, § 102). უფრო სწორად, 46-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია მინისტრთა კომიტეტს ეკისრება.

30. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მისაღწევად ხელმისაწვდომი საშუალებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით და მასთან დაკავშირებული საკითხების ხასიათიდან გამომდინარე, კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენციის განხორციელებისას, მიიჩნევა, რომ მინისტრთა კომიტეტი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სასამართლო, რათა შეაფასოს კონკრეტული გასატარებელი ღონისძიებები. ამრიგად, მინისტრთა კომიტეტმა, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და მომჩივნის ცვალებადი მდგომარეობის გათვალისწინებით, ზედამხედველობა

უნდა გაუწიოს ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც იქნება შესაფერისი, დროული, ადეკვატური და საკმარისი იმისათვის, რომ უზრუნველყოს სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევების მაქსიმალური გამოსწორება (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 155).³

31. მინისტრთა კომიტეტი არის ევროპის საბჭოს აღმასრულებელი ორგანო და მის საქმიანობას აქვს პოლიტიკური ხასიათი. ამდენად, გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობისას ის ასრულებს კონკრეტულ ამოცანას, რომელიც მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი წესების გამოყენებას. აღსრულების პროცესი ეხება ხელშემკვრელი მხარის მიერ საერთაშორისო სამართლის ვალდებულებების შესრულებას, კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად. ეს ვალდებულებები ეფუძნება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს დარღვევის შეწყვეტის, არ-განმეორების და გამოსწორების შესახებ, ARSIWA-ის შესაბამისად. ეს პრინციპები წლებია გამოიყენება მინისტრთა კომიტეტის მიერ და ამჟამად ისინი ასახულია მინისტრთა კომიტეტის წესდების 6.2 წესში (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, §§ 161-162).

32. ამრიგად, კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობის მექანიზმი უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ყოვლისმომცველ ჩარჩოს, რომელიც განმტკიცებულია მინისტრთა კომიტეტის პრაქტიკით. ამ ჩარჩოს ფარგლებში, კომიტეტის უწყვეტი ზედამხედველობის შედეგად შეიქმნა საჯარო დოკუმენტების კრებული, რომელიც მოიცავს მოპასუხე სახელმწიფოებისა და აღსრულების პროცესით დაინტერესებულ სხვათა მიერ წარდგენილ ინფორმაციას და აღრიცხავს კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს მის მიერ განსახილველ საქმეებში. ამ პრაქტიკამ, ასევე, გავლენა მოახდინა წევრი სახელმწიფოების მიმართ კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში წარმოდგენილ ზოგად სტანდარტებზე, ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება აღსრულებას (მაგ., რეკომენდაცია R (2000) 2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ეროვნულ დონეზე ზოგიერთი საქმის გადასინჯვის ან ხელახალი განხილვის შესახებ⁴ ან რეკომენდაცია CM/Rec(2010)3 სამართალწარმოების გაჭიანურების გასაჩივრების ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ⁵).

³ რაც შეეხება მინისტრთა კომიტეტის კომპეტენციას გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობისას, მან უნდა გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების შემდგომ განვითარებული მოვლენები, მაშინაც კი, თუ ეს მოვლენები წარმოადგენს სასამართლოსთვის წარდგენილი ახალი საჩივრის საფუძველს, იხ. [CM/Notes/1383/H46-17](#).

⁴ რეკომენდაცია R (2000) 2 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ეროვნულ დონეზე ზოგიერთი საქმის გადასინჯვის ან ხელახალი გამოძიების შესახებ.

⁵ რეკომენდაცია CM/Rec(2010)3 სამართალწარმოების გაჭიანურების გასაჩივრების ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

შედეგად, მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა კანონთა ვრცელი კრებული (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, §§ 161-163).

33. სასამართლოს შესაბამისობის საკითხის საბოლოო სამართლებრივი შეფასება მოეთხოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს [გადაწყვეტილების აღსრულების ვალდებულების] დარღვევასთან დაკავშირებული წარმოება, 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. ამ კუთხით, სასამართლო ითვალისწინებს მინისტრთა კომიტეტის წინაშე არსებული პროცედურის ყველა ასპექტს, მათ შორის კომიტეტის მიერ მითითებულ ზომებს. სასამართლო შეფასებას ახორციელებს ზედამხედველობის პროცესში კომიტეტის დასკვნების, მოპასუხე მთავრობის პოზიციისა და დარღვევის მსხვერპლის მოსაზრებების გათვალისწინებით. დარღვევასთან დაკავშირებით მიმდინარე საქმის წარმოების კონტექსტში, სასამართლო ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებიდან მომდინარე სამართლებრივი ვალდებულებების, ისევე, როგორც გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი დასკვნებისა და მისი სულისკვეთების იდენტიფიცირებას, რათა განსაზღვროს, შეასრულა თუ არა მოპასუხე სახელმწიფომ 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები (*Ilgar Mammadov v. Azerbaijan* [GC], 2019, § 168). [46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაძლო] დარღვევასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოების მიზანი არ არის ხელახლა განიხილოს [კონვენციის შესაბამისი დებულებების] დარღვევის საკითხი, რომელიც უკვე დადგენილია სასამართლოს თავდაპირველ გადაწყვეტილებაში, ან მოპასუხე მხარეს დაავალოს ფულადი ჯარიმის გადახდა: არამედ, მისი მიზანია პოლიტიკური ზეწოლის შექმნა, რათა აღსრულდეს სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილება, და ასევე, ზედამხედველობის პროცესის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა, კერძოდ, მისი დაჩქარება და გაუმჯობესება (*ibid.*, §§ 159-160). თუ დარღვევასთან დაკავშირებული საქმის წარმოების შედეგად სასამართლო დაადგენს კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი რჩება უფლებამოსილად, მიიღოს ზომები, რომელსაც იგი მიზანშეწონილად ჩათვლის, სასამართლოს მიერ ამგვარი დარღვევის დადგენიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (*Kavala v. Türkiye* [GC], 2022, § 176). სინამდვილეში, კონვენციის 46-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის დადგენა ნიშნავს, რომ სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილებიდან მომდინარე ძირითადი ვალდებულება - კერძოდ, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა - ყველა თანმდევ შედეგთან ერთად, აგრძელებს არსებობას (*ibid.*, § 175).

34. კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის თანახმად, სასამართლოს აქვს იურისდიქცია, გასცეს საკონსულტაციო მოსაზრებები იმ წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ეროვნული სასამართლოების მიმართვის საფუძველზე, რომელთაც მოახდინეს აღნიშნული ინსტრუმენტის რატიფიცირება. აღნიშნულის მიზანს

წარმოადგენს კონვენციის სისტემის ფარგლებში სუბსიდიარულობის გაუმჯობესება, რაც მიიღწევა იმით, რომ ეროვნული სასამართლოები შეძლებენ, მათ წინაშე არსებული განსახილველი საქმიდან გამომდინარე, პრეცედენტული სამართლის პრინციპების შესახებ კითხვებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოსგან განმარტებები მიიღონ. სომხეთის საკასაციო სასამართლომ ევროპულ სასამართლოს მიმართა კონსულტაციისთვის, წამების შესახებ საქმეებთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადების გამოყენებასთან დაკავშირებით. ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოება პირდაპირ იყო დაკავშირებული 2012 წელს ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე *Virabyan v. Armenia* მიღებულ გადაწყვეტილებასთან, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის მატერიალური და პროცედურული დარღვევა. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ორი პოლიციელის მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ მომჩივნის არასათანადო მოპყრობაში. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს, რომ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. შესაბამისად, ბრალდებულს ვერ დაეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. პროკურატურამ აღნიშნული გაასაჩივრა და განაცხადა, რომ საერთაშორისო სამართალში არსებობს წამების აბსოლუტური აკრძალვა, რასაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებულ სამართლებრივ აქტებთან შედარებით. საკასაციო სასამართლომ ევროპულ სასამართლოს სთხოვა, მიეთითებინა, ხანდაზმულობის შესახებ დებულების არ-გავრცელება მე-3 მუხლის დარღვევის შემთხვევებზე, იქნებოდა თუ არა კონვენციის მე-7 მუხლთან შესაბამისი. აღნიშნულმა ევროპულ სასამართლოს მისცა შესაძლებლობა, წარმოედგინა კომენტარები იმ სირთულესთან დაკავშირებით, რომელსაც სახელმწიფოები აწყდებიან მე-3 მუხლის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულების კუთხით ეროვნულ დონეზე მოქმედი ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინებით; გარდა ამისა, სასამართლომ მიმოიხილა გარკვეული სახელმწიფოების მიერ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები. სასამართლომ, მე-16 დამატებითი ოქმის მეშვეობით, ეროვნული სასამართლოს მიმართ გასცა საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც ეხებოდა გადაწყვეტილების აღსრულებაში ამ უკანასკნელის ჩართულობას. ამავდროულად, მინისტრთა კომიტეტი ახორციელებდა აღსრულების პროცესის ზედამხედველობას.

B. კითხვები დასაშვებობასთან დაკავშირებით

1. 35-ე მუხლის მე-2 (b) პუნქტი

35. მინისტრთა კომიტეტის როლი სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების სფეროში, სასამართლოს არ უშლის ხელს განიხილოს ახალი

საჩივარი, რომელიც ეხება მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით მიღებულ ღონისძიებებს. აღნიშნული შესაძლებელია, თუ საჩივარი შეიცავს შესაბამის ახალ ინფორმაციას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც თავდაპირველი გადაწყვეტილების ფარგლებში არ ყოფილა გადაწყვეტილი. მოპასუხე სახელმწიფოს მიერ დარღვევის გამოსწორების მიზნით გატარებული ღონისძიებები, რომელიც წარმოშობს ახალ საკითხს, რომელსაც თავდაპირველი გადაწყვეტილება არ ეხებოდა, ხვდება სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ. აღნიშნული საკითხი, როგორც ასეთი, შესაძლოა წარმოადგენდეს ახალი საჩივრის საგანს, რომლის განხილვაც შესაძლებელია სასამართლოს მიერ (*Guja v. the Republic of Moldova* (no. 2), 2018, § 35). ის ფაქტი, რომ მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს ზედამხედველობის პროცედურას შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, სასამართლოს არ უშლის ხელს განიხილოს ახალი საჩივარი იმ პირობით, თუ იგი შეიცავს ახალ ასპექტებს, რომლებსაც თავდაპირველი გადაწყვეტილება არ შეხება (*Moreira Ferreira v. Portugal* (no. 2) [GC], 2017, § 57).

36. ამ კონტექსტში ხაზი უნდა გაესვას პრეცედენტულ სამართალში 35-ე მუხლის მე-2(b) პუნქტთან დაკავშირებით დადგენილ კრიტერიუმებს, რომლის თანახმადაც საჩივარი დაუშვებელია, თუ იგი „არსებითად არ განსხვავდება იმ საკითხისგან, რომელიც სასამართლომ უკვე განიხილა ... და არ შეიცავს ახალ რელევანტურ ინფორმაციას“. შესაბამისად, სასამართლომ უნდა შეაფასოს, მის წინაშე წარდგენილი ორი საჩივარი ხომ არ ეხება ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე ფაქტებს და ერთსა და იმავე საჩივარს (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland* (no. 2) [GC], 2009, § 63).

37. „ახალი საკითხის“ არსებობის განსაზღვრა დიდწილად დამოკიდებულია მოცემული საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე, ხოლო საქმეებს შორის განსხვავებები ყოველთვის ცალსახა არ არის. მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland* (no. 2) [GC], 2009, სასამართლომ დაადგინა, რომ მას ჰქონდა კომპეტენცია განეხილა საჩივარი, რომელსაც საფუძვლად ედო ეროვნული სასამართლოს უარი, დასაშვებად ეცნო საჩივარი, რომელიც ეხებოდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქმის წარმოების განახლებას. ევროპული სასამართლო ძირითადად დაეყრდნო იმ ფაქტს, რომ საჩივრის დაუშვებლად ცნობის საფუძველები იყო ახალი და შესაბამისად, წარმოადგენდა რელევანტურ ახალ ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა წარმოშვას კონვენციის ახალი დარღვევა (§.65). მან, აგრეთვე, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მინისტრთა კომიტეტს დასრულებული ჰქონდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობა, რომლის დროსაც მას არ გაუთვალისწინებია საქმის წარმოების

განახლებაზე უარი, ვინაიდან მას არ ჰქონდა ინფორმაცია ამ გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ, აღნიშნული თვალსაზრისითაც, მოცემული უარი წარმოადგენდა ახალ ფაქტს (§67). ანალოგიურად, მეორე საქმეში, *Emre v. Switzerland* (no. 2), 2011, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოს მიერ საქმის წარმოების განახლების შემდგომ მიღებული ახალი გადაწყვეტილება, სადაც ეროვნულმა სასამართლომ ინტერესები ხელახლა შეუპირისპირა ერთმანეთს, წარმოადგენდა ახალ ფაქტს. მან, აგრეთვე, მიუთითა, რომ მინისტრთა კომიტეტის წინაშე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული აღსრულების პროცედურა (ციტირებულია საქმეში *Egmez v. Cyprus* (dec.), 2012, §§ 54-56).

38. თუმცა მსგავსი საჩივრები სასამართლომ დაუშვებლად ცნო საქმეებში *Schelling v. Austria* (no. 2) (dec.), 2010, და *Steck-Risch and Others v. Liechtenstein* (dec.), 2010, ვინაიდან სასამართლომ ჩათვალა, რომ ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებები, რომლითაც მომჩივნებს უარი ეთქვათ საქმის წარმოების განახლებაზე, არ ეფუძნებოდა და არ იყო დაკავშირებული რაიმე ახალ რელევანტურ გარემოებასთან, რამაც შესაძლოა წარმოშვას კონვენციის ახალი დარღვევა. ამასთან, საქმეში *Steck-Risch and Others v. Liechtenstein* (dec.), 2010, სასამართლომ მიუთითა, რომ მინისტრთა კომიტეტის მიერ სასამართლოს წინა გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობა დასრულდა მანამ, სანამ ეროვნული სასამართლოები უარს იტყოდნენ წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ისე, რომ არ განხილულა წარმოების განახლების შესახებ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა. შესაბამისად, რელევანტური ახალი ინფორმაცია ამ მხრივაც არ არსებობდა (ციტირებულია საქმეში *Egmez v. Cyprus* (dec.), 2012, §§ 54-56).

39. არ იქნება მართებული თუ ვიტყვით, რომ მინისტრთა კომიტეტისათვის კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად მინიჭებული უფლებამოსილებები იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მოუწევს, განიხილოს რელევანტური ახალი ინფორმაცია, ახალი საჩივრის კონტექსტში. ამასთან, თუ სასამართლოს არ ექნებოდა ახალი ფაქტის განხილვის შესაძლებლობა, იგი [ფაქტი] კონვენციის საფუძველზე გამოკვლევის მიღმა დარჩებოდა (*Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland* (no. 2) [GC], 2009, § 67), ხოლო მომჩივანს, დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ჩამოერთმეოდა სამართლიანი დაკმაყოფილების მიღების შესაძლებლობა (*Ivanțoc and Others v. Moldova and Russia*, 2011, § 95). შესაბამისად, სასამართლოსა და მინისტრთა კომიტეტს, თავიანთი განსხვავებული მოვალეობების კონტექსტში, შესაძლოა დასჭირდეთ, ერთდროულადაც კი, ერთი და იგივე ეროვნული სამართალწარმოების განხილვა ისე, რომ არ დაირღვეს მათ შორის არსებული ფუნდამენტური ინსტიტუციური ბალანსი (*Kavala v. Türkiye* [GC], 2022, § 155).

40. რაც შეეხება კონვენციით დაცული უფლების დარღვევის გაგრძელებას სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლების დარღვევის დადგენის შემდეგ, დროის გარკვეულ მონაკვეთში, სასამართლოსთვის არ არის უჩვეულო მეორე საჩივრის განხილვა ამავე უფლების დარღვევის შესახებ დროის იმ განსაზღვრულ პერიოდისთვის (*Ivanțoc and Others v. Moldova and Russia*, 2011, § 87). ასეთ შემთხვევებში „ახალი საკითხი“ წარმოიშობა იმ დარღვევის გაგრძელების შედეგად, რომელიც სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა, სასამართლოს მიერ მეორე საჩივრის განხილვა შემოიფარგლება დროის ახალი პერიოდებით და ამ მხრივ არსებული ახალი პრეტენზიებით (*Jurišić v. Croatia*,* 2022, § 30). მაგალითად, გადაწყვეტილებაში საქმეზე *Ivanțoc and Others v. Moldova and Russia*, 2011, სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის უკანონო პატიმრობის გახანგრძლივების საკითხი, 2005 წლის 8 ივლისიდან (სასამართლოს მიერ თავდაპირველი გადაწყვეტილების მიღების დღიდან, სადაც, *inter alia*, დადგინდა მე-5 მუხლის დარღვევა) 2007 წლის 2 და 4 ივნისამდე ხვდებოდა მისი იურისდიქციის ქვეშ (§ 93-96). გადაწყვეტილებაში საქმეზე *Wasserman v. Russia* (no. 2), 2008, სასამართლომ დასაშვებად ცნო ახალი საჩივარი, რომელიც ეხებოდა მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი წლის შემდეგ პერიოდს (§§ 36-37). მსგავსად აღნიშნულისა, გადაწყვეტილებაში საქმეზე *Jurišić v. Croatia*,* 2022, სასამართლომ განაცხადა, რომ მას აქვს უფლებამოსილება, განიხილოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ახალი გადაწყვეტილებები, რომლებიც მომჩივნის მიერ არასრულწლოვანი შვილის მონახულების საკითხს ეხება და მიღებულია ევროპული სასამართლოს თავდაპირველი გადაწყვეტილების შემდეგ (§§ 32-33).

2. 35-ე მუხლის 3(a) პუნქტი

41. კონვენციის 35-ე მუხლის 3 (a) პუნქტის თანახმად, სასამართლომ დაუშვებლად ცნო 46-ე მუხლის საფუძველზე წარდგენილი საჩივარი მე-3 მუხლის პროცედურულ ნაწილთან ერთობლიობაში. კერძოდ, მომჩივანი აცხადებდა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არასწორად განმარტეს ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საქმეთა სიიდან საქმის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილების ფარგლები, რომელიც მიღებული იქნა მას შემდეგ, რაც მთავრობამ ცალმხრივი დეკლარაციით აღიარა, რომ მომჩივნის დაკავებისას ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას (*Boutaffala v. Belgium*,* 2022, §§ 48- 54). სასამართლომ გაითვალისწინა მხარეებს შორის დადებული მეგობრული შეთანხმება და საჩივარი ამორიცხა განსახილველი საქმეების ნუსხიდან. ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ მეორე საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ ძალიან საეჭვო იყო, რომ 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტი შესაძლოა მიჩნეული იქნეს, როგორც [დებულება], რომელიც

მომჩივანს ანიჭებს უფლებას, რომლის მოთხოვნაც შესაძლებელია იმ სამართალწარმოების ფარგლებში, რომელიც წარმოიშვა სასამართლოსთვის წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრის საფუძველზე. მართალია, სასამართლომ მანამდე განიხილა რამდენიმე საჩივარი, რომელიც ეხებოდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებს - ხოლო ამ საჩივრებში წამოჭრილი იყო ახალი საკითხები, რომლებიც არ იყო განხილული თავდაპირველ გადაწყვეტილებაში - სასამართლოს არ ჰქონდა იურისდიქცია - 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული „დარღვევის პროცედურის“ თანახმად ინიცირებული სამართალწარმოების ფარგლებს მიღმა - შეეფასებინა, ხელშემკვრელმა სახელმწიფომ შეასრულა თუ არა სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებები. მაშინაც კი, თუ ჩავთვლით, რომ მომჩივანს შეეძლო საჩივრის წარდგენა 46-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მე-3 მუხლთან ერთობლიობაში, საკმარისია აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება განსახილველი საქმეების ნუსხიდან საქმის ამორიცხვის შესახებ არ უტოლდება დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებას. სასამართლომ მხოლოდ გაითვალისწინა მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია და ის ფაქტი, რომ მომჩივანი მის პირობებს ეთანხმებოდა, ისე, რომ მას არ განუხილავს არათუ მისი არსებითი მხარე, არამედ დასაშვებობის საკითხიც კი. შესაბამისად, საქმის ამორიცხვის შესახებ გადაწყვეტილება არ ხვდებოდა 46-ე მუხლის მოქმედების სფეროში, რომელიც მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებებს ეხება. ამას გარდა, თუ მხარეები აღწევენ მეგობრულ მორიგებას, მისი აღსრულების ზედამხედველობა არ წარმოადგენს სასამართლოს ფუნქციას, არამედ, კონვენციის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, აღსრულების ზედამხედველობას ახორციელებს მინისტრთა კომიტეტი.

3. 35-ე მუხლის 3 (b) პუნქტი

42. სასამართლომ, აგრეთვე, მიუთითა მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებზე, რომლებიც საზედამხედველო პროცესის კონტექსტში იქნა მიღებული, რათა დადგენილიყო, მოითხოვდა თუ არა ადამიანის უფლებების პატივისცემა საჩივრის არსებითი გარემოებების განხილვას (*Rooney v. Ireland*, 2013, § 34).

4. 37-ე მუხლი

43. იმის შეფასებისას, თუ რამდენად უნდა ამორიცხოს საქმე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე 37-ე მუხლის 1(c) პუნქტისა და მინისტრთა კომიტეტის დებულებების მიხედვით, სასამართლომ,

აგრეთვე, მიუთითა 46-ე მუხლით დადგენილ პრინციპებზე (*Taşdemir v. Turkey* (dec.), 2019, § 20). სასამართლომ მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა, რომელიც განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში, არ მოითხოვდა სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვის გაგრძელებას, განსაკუთრებით, განსახილველ საკითხზე მკაფიო და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის გათვალისწინებით. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის თანახმად ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის დაკისრებული ვალდებულებების მოცულობა და ბუნება, უკვე განსაზღვრულია სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში. ამას გარდა, მოცემული საკითხები განსახილველად წარდგენილი იყო მინისტრთა კომიტეტის წინაშე და კომიტეტი მათზე რეაგირებას ახორციელებდა კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად (*ibid.*, § 22).

44. სასამართლომ ერთ-ერთი საქმე აღადგინა განსახილველ საქმეთა ნუსხაში მიუხედავად იმისა, რომ მანამდე მან მიიღო მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Willems and Gorjon v. Belgium*, 2021, მომჩივნები თავდაპირველად დავობდნენ, რომ მათ შეეზღუდათ სასამართლოს ხელმისაწვდომის უფლება. საქმე ამოირიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან (კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი (c) პუნქტი), ვინაიდან მთავრობამ ცალმხრივ დეკლარაციაში აღიარა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მომჩივნების საჩივრის დაუშვებლად ცნობა ფორმალური მოთხოვნის დაუცველობის გამო, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლს. მომჩივნები შემდეგ ითხოვდნენ ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლებას, თუმცა, საკასაციო სასამართლომ უარი თქვა აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მიიჩნია, რომ მთავრობის პოზიციას არ აქვს სავალდებულო ძალა სასამართლოებისთვის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად. ამას გარდა, მან მიიჩნია, რომ თავდაპირველი უარი არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ საქმე აღადგინა განსახილველ საქმეთა ნუსხაში და გამოიტანა გადაწყვეტილება საჩივრის შესახებ. მან მიუთითა, რომ მართალია, თავდაპირველად საქმის განხილვას არ მოჰყვა გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად, არაფერი იყო აღსასრულებელი 46-ე მუხლის თანახმად, თუმცა მომჩივნებს ჰქონდათ უფლება, ჰქონოდათ მოლოდინი შესაბამისი ხელისუფლების ორგანოების მიმართ, სასამართლოების ჩათვლით, რომ ისინი მთავრობის მიერ ევროპული სასამართლოს წინაშე მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად შეასრულებდნენ. ევროპულმა სასამართლომ პარალელები გაავლო პირის უფლებების დარღვევის აღიარების შესახებ ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებასა და კონვენციის დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებას შორის. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოსაც ეკისრება ადამიანის უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა, მას უნდა

გაეთვალისწინებინა მთავრობის დეკლარაცია და ევროპული სასამართლოს მიერ ამ დეკლარაციის მიღება და სათანადო ქმედებები განეხორციელებინა ეროვნულ სამართლებრივი წესრიგის ფარგლებში (*Willems and Gorjon v. Belgium*, 2021, §§ 54-66).

IV. დანართი

A. სასამართლოს მითითებები 46-ე მუხლის თანახმად სხვადასხვა მუხლის მიხედვით

1. შესავალი

45. 46-ე მუხლის შესახებ პრეცედენტული სამართლის გზამკვლევის წინამდებარე დანართი აღწერს იმ ძირითად მითითებებს, რომლებიც სასამართლომ წარმოადგინა 46-ე მუხლის საფუძველზე, არაერთ მატერიალურ-სამართლებრივ მუხლთან დაკავშირებით.

a. მუხლი 2

i. მატერიალური ასპექტი

46. ისეთ შემთხვევებში, როდესაც არსებობდა მომჩივნის სიცოცხლის უფლების დარღვევის რისკი, ისეთ ქვეყანაში გაძევების ან გაძევების საფრთხის გამო, სადაც მას ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა ან სხვა გარემოებები, რომლებიც მე-2 მუხლის დარღვევას განაპირობებდა, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ყველა შესაძლო ნაბიჯი უნდა გადადგას, რათა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისგან მოიპოვოს გარანტია იმისა, რომ სიკვდილით დასჯა არ იქნება გამოყენებული (*Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom*, 2010, § 171; *Al Nashiri v. Poland*, 2014, § 589).⁶

ii. პროცედურული (ეფექტიანი გამოძიების) ასპექტი

47. სასამართლომ გარკვეულ შემთხვევებში ცალსახად უარი თქვა მთავრობისთვის იმის მითითებაზე რომ, მე-2 მუხლის დარღვევის დადგენის პასუხად, ხელახლა გამოეძიებინა გარდაცვალების შემთხვევა (*Ülkü Ekinçi v. Turkey*, 2002, § 179).

⁶ ამ პრაქტიკის მაგალითთან დაკავშირებით, იხ. მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია *DH (90) 8*, 1990 წლის 12 მარტი, საქმე *Soering v. the United Kingdom*, 1989, სადაც მოპასუხე სახელმწიფომ მიიღო დიპლომატიური გარანტია, რომ არ განხორციელდებოდა მომჩივნის ექსტრადაცია, რადგან მას ელოდებოდა გასამართლება ისეთი დანაშაულებისთვის, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

კერძოდ, მან მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში ვერ ჩაითვლება, რომ ახალი გამოძიება ეფექტიანად ჩატარდება ან გამოასწორებს დარღვევას, მსხვერპლის ოჯახისთვის ან ფართო საზოგადოების წინაშე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით. გასული დროის პერიოდი და მისი გავლენა მტკიცებულებებსა და მოწმეთა ხელმისაწვდომობაზე გარდაუვლად გამოიწვევს იმას, რომ გამოძიება იქნება არადაამაკმაყოფილებელი ან არასრულყოფილი, რადგან ვერ შეძლებს მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენას ან ეჭვების გაქარწყლებას. გაუჩინარების საქმეებშიც, როდესაც შესაძლებელია ითქვას, რომ უფრო მეტი რამ დევს სასწორზე, ვინაიდან ნათესავებს უწყვეტად სტანჯავს მსხვერპლის ბედთან ან მისი სხეულის ადგილსამყოფელთან დაკავშირებული ბუნდოვანება, სასამართლომ თავი შეიკავა მითითებისგან, რომ საქმე ხელახლა უნდა ყოფილიყო გამოძიებული. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ საკითხებზე რეაგირების უფლებამოსილება ენიჭება მინისტრთა კომიტეტს კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად. სწორედ იგი განსაზღვრავს, პრაქტიკული თვალსაზრისით თუ რა არის საჭირო თითოეულ საქმეში გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (*Finucane v. the United Kingdom*, 2003, § 89).

48. ამავდროულად, გარკვეულ გარემოებებში, სასამართლომ მიუთითა, რომ არსებობს 46-ე მუხლის შესაბამისად ახალი, დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების გარდაუვალი საჭიროება. გამოძიება უნდა ჩატარდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლოს დასკვნებს ჩატარებული გამოძიების არაეფექტურობის შესახებ (*Abuyeva and Others v. Russia*, 2010, § 240).⁷ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ დონეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეა, სასამართლომ შესაძლოა საჭიროდ ჩათვალოს გარკვეული გადასადგმელი ნაბიჯების მითითება, მაგალითად, დადგენილი ფაქტების გათვალისწინებით იმ სახელმწიფო უწყებების ქმედებების შეფასება, რომელთაც სასიკვდილო ძალა გამოიყენეს, და ოჯახის წევრისთვის ძირითადი დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (*Gasangusenov v. Russia*, 2021, § 102).

⁷ კომიტეტი თვლის, რომ მოპასუხე სახელმწიფოებს აქვთ უწყვეტი ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიებები: „როდესაც საქმე ეხება ახალ გამოძიებას, ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, რომლითაც დადგინდა თავდაპირველ გამოძიებაში ხარვეზების არსებობა, აუცილებელია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა შეაფასონ და კომიტეტს მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია, თუ რა საგამომიებო ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლებელი პრაქტიკული და სამართლებრივი მიზეზების გამო, რა საშუალებები გამოიყენება არსებული დაბრკოლებების დასაძლევად და რა კონკრეტული შედეგების მიღწევას მოსალოდნელი შესაბამისი ვადის მითითებით.“ (იხ. *Corsacov v. Moldova*, 2006, წარდგენილია: 1208th CM-DH (2014 წლის 23-25 სექტემბერი); ასევე, იხ. *Gharibashvili v. Georgia*, წარდგენილია: 1222nd CM-DH (2015 წლის მარტი).

49. თუ არსებობს რისკი იმისა, რომ ვადის გასვლის გამო გამოძიება ხანდაზმული იქნება, სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა აღმოფხვრას სიტუაცია, რათა გამოძიების შეწყვეტა არ მოხდეს კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. სასამართლომ ამგვარი მითითებები გასცა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: დანაშაულის სიმძიმე; შედეგს გავლენა ექნებოდა ბევრ ადამიანზე; შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტები, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიებში მოქმედებს ამგვარ სიტუაციებთან დაკავშირებით; ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის იცოდეს სიმართლე შესაბამისი მოვლენების შესახებ; და ის ფაქტი, რომ მტკიცედ არის აღიარებული საზოგადოების ინტერესი დამნაშავეთა დევნასა და დასჯასთან მიმართებით, განსაკუთრებით, ომის დანაშაულებისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების კონტექსტში (*Association "21 December 1989" and Others v. Romania*, 2011, §§ 189-195; *Aslakhanova and Others v. Russia*, 2012, § 237).

50. სხვა კონტექსტში და მინისტრთა კომიტეტის კანონთა კრებულზე მითითებით, სასამართლო ეთანხმება, რომ შესაძლოა არსებობდეს სიტუაციები, სადაც *de jure* ან *de facto* შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმის ხელახლა გამოძიება. ასეთი სიტუაციები შესაძლოა წარმოიშვას, მაგალითად, როდესაც სავარაუდო დამნაშავეები გამართლდნენ და იგივე დანაშაულისთვის ვერ გასამართლდებიან ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმის გამოძიება შეუძლებელია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მართლაც, სისხლის სამართლის საქმის ხელახლა გამოძიება, რომელიც ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო შეწყდა, გარკვეულ საკითხებს წარმოშობს სამართლებრივ სიცხადესთან დაკავშირებით და გავლენას ახდენს კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებულთა უფლებებზე. მსგავსად აღნიშნულისა, ბრალდებულის გასამართლება იმ დანაშაულისთვის, რომლის გამოც ის უკვე იყო მსჯავრდებული ან გამართლებული, შესაძლოა, წარმოშობდეს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ბრალდებულის უფლებას, არ იქნეს გასამართლებული ან ხელმეორედ დასჯილი, კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (*Taşdemir v. Turkey* (dec.), 2019, § 14).

51. მსგავსად აღნიშნულისა, სასამართლო ვერ უფლებებელყოფს შესაძლებლობას იმისა, რომ თუ დანაშაულის ჩადენიდან დიდი დრო გავიდა, მტკიცებულება შესაძლოა გამჭრალი, განადგურებული ან მიუღწეველი იყოს. შესაბამისად, პრაქტიკაში შეუძლებელია საქმის ხელახლა და ეფექტიანად გამოძიება. ამრიგად, წევრ სახელმწიფოს ევალება თუ არა სისხლის სამართლის წარმოების განახლება და შესაბამისად, ცალმხრივი დეკლარაცია უნდა ითვალისწინებდეს თუ არა ამგვარ ვალდებულებას, დამოკიდებული იქნება საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე,

მათ შორის, სავარაუდო დარღვევის ხასიათსა და სიმძიმეზე, სავარაუდო მოძალადის ვინაობაზე, სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლებზე, ასევე იმაზე, იკვეთება თუ არა სხვა პირთა პასუხისმგებლობა, რომლებიც არ იყვნენ სამართალწარმოებაში ჩართულები, რა ხარვეზები აღინიშნა სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე და სავარაუდო მოძალადემ გამოიწვია თუ არა ის ხარვეზები და დეფექტები, რომლებმაც განაპირობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულება (*Taşdemir v. Turkey* (dec.), 2019, §§ 15-16).

52. სასამართლომ აღნიშნა, რომ ის ფაქტი, რომ სავარაუდოდ შეუძლებელია საქმის ხელახლა გამოძიება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჩივარი წარდგენილია კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე, არსებითად, არ აფერხებს მინისტრთა კომიტეტის მიერ, კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვის დასრულებას. მაგალითად, მას შემდეგ, რაც დიდმა პალატამ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა, *Jeronovičs*-ის საქმეში, რომელიც ციტირებულია ზემოთ, მომჩივანმა პროკურორს მიმართა მისი ბრალდებების ხელახლა გამოძიების მოთხოვნით. მას უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძველით, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. მინისტრთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება იყო მიღებული და გადაწყვიტა, რომ დაესრულებინა საქმის განხილვა (იხ. *Resolution CM/ResDH(2017)312*) (*Taşdemir v. Turkey* (dec.), 2019, § 19).

iii. სპეციფიკური საკითხი: ოპერაციების დაგეგმვა და კონტროლი

53. სასამართლომ მითითებები გასცა ლეტალური ძალის გამოყენებით სახელმწიფო ოპერაციების დაგეგმვასა და კონტროლთან დაკავშირებულ დარღვევებთან დაკავშირებით. მან დაადგინა, რომ დარღვევებზე რეაგირება უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ინდივიდუალური და ზოგადი ღონისძიებებით, რომლებიც მოიცავს სათანადო საპასუხო ქმედებებს სახელმწიფო დაწესებულებების მხრიდან და მიზნად ისახავს: წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანას, შესაბამისი სამართლებრივი და ოპერაციული სტანდარტების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებას. ამგვარი ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს არა-სასამართლო საშუალებების გამოყენებას ინფორმაციის შეგროვებისა და სიმართლის დადგენისთვის, უსაფრთხოების ოპერაციის მიმდინარეობისას სიცოცხლის უფლების დარღვევის შემთხვევების საჯაროდ აღიარებას და დაგმობას, ინფორმაციის უფრო მეტად გავრცელებას და პოლიციელების, სამხედრო მოსამსახურეებისა და უსაფრთხოების

თანამშრომლების უკეთ მომზადებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას რელევანტურ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან მკაცრი შესაბამისობა. მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენცია, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამის სამართლებრივ ჩარჩოში, განსაკუთრებით, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება ფართომასშტაბიან უსაფრთხოების ოპერაციებს და მექანიზმები, რომლებიც არეგულირებენ თანამშრომლობას სამხედრო ძალებს, უსაფრთხოების ძალებსა და სამოქალაქო ორგანოებს შორის, ასეთ სიტუაციებში, არის ადეკვატური. ამასთან, მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული უსაფრთხოების ოპერაციების დროს ლეტალური ძალის გამოყენების პრინციპები და შეზღუდვების მარეგულირებელი წესები, რომლებიც ასახავს მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს (*Tagayeva and Others v. Russia*, 2017, § 640).

54. რაც შეეხება გამოძიების ვალდებულების შეუსრულებლობას ისეთ გარემოებებში, როდესაც შესაბამისი გამოძიება კვლავ მიმდინარე იყო ეროვნულ დონეზე და არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იქნა დადგენილი, სასამართლომ მიიჩნია, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საჭირო სპეციფიკური ღონისძიებები, კონვენციის 46-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, უნდა განისაზღვროს სასამართლოს გადაწყვეტილების პირობების გათვალისწინებით, და სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს დასკვნებს დღემდე ჩატარებული გამოძიების ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, ახალი გამოძიება ნათელს უნდა ჰფენდეს სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ იარაღის განურჩევლად გამოყენების ძირითად გარემოებებს და აფასებდეს მათ ქმედებებს ყველა დადგენილ ფაქტთან მიმართებაში. იგი, აგრეთვე, უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ კონტროლს, კერძოდ, მსხვერპლთათვის ძირითადი დოკუმენტების, მათ შორის, ექსპერტთა დასკვნების ხელმისაწვდომობით, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანია გამოძიების ფარგლებში დადგენილი გარდაცვალების მიზეზებისა და შესაბამისი უწყებების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის თვალსაზრისით (*Tagayeva and Others v. Russia*, 2017, § 641).

b. მე-3 მუხლი

i. მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტი: გაძევება

a. გაძევება

55. მე-2 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა, რომ დიპლომატიური გარანტიები უნდა იქნას მოპოვებული დანიშნულების ქვეყნიდან, რომ მომჩივანი დაბრუნების შემთხვევაში არ დაექვემდებარება მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობას (*M.A. v. France*, 2018, § 91; *Hirsi Jamaa and Others v. Italy*, 2012, § 211).

56. უფრო ზოგადად, როდესაც არ არსებობს გარანტიები, რომლებიც მომჩივნებს დაიცავს ქვეყნიდან გამძევებისაგან, რის შედეგადაც ისინი აღმოჩნდებიან ისეთი გარემოებების პირისპირ, რომელიც კონვენციის მე-3 (ან მე-2) მუხლს არღვევს, სასამართლომ მიუთითა ზოგად ღონისძიებებზე, რომელიც გულისხმობს კანონმდებლობაში შესწორებების შეტანას, და ამგვარი ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკის შეცვლას, რათა (a) არსებობდეს მექანიზმი, რომელიც შესაბამის ორგანოებს მოსთხოვს, დეტალურად განიხილონ, არსებობს თუ არა დასაბუთებული პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით; რისკები, რომლის წინაშეც აღმოჩნდება უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული უსაფრთხოების მოტივით გაამძევენ მას, დანიშნულების ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობის და უცხო ქვეყნის მოქალაქის განსაკუთრებული გარემოებების გამო; (b) დანიშნულების ქვეყანა ყოველთვის უნდა მიეთითოს სავალდებულო სამართლებრივი ძალის მქონე აქტში, ხოლო დანიშნულების ქვეყნის ცვლილება უნდა დაექვემდებაროს სამართლებრივი გზით გასაჩივრებას; (c) ზემოაღნიშნული მექანიზმი უნდა იძლეოდეს შემდეგი საკითხის განხილვის შესაძლებლობას: მესამე ქვეყანაში გაგზავნის შემთხვევაში, პირი აღმოჩნდება თუ არა აღნიშნული ქვეყნიდან წარმოშობის ქვეყანაში გაგზავნის რისკის ქვეშ, არასათანადო მოპყრობის რისკის გათვალისწინების გარეშე; (d) რამდენად დასაბუთებულია დანიშნულების ქვეყანაში სიკვდილის ან არასათანადო მოპყრობის მნიშვნელოვანი რისკის შესახებ პრეტენზია, რომელიც მომჩივანმა წამოჭრა გამძევების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ფარგლებში; გასაჩივრების შედეგად ავტომატურად უნდა შეჩერდეს ქვეყნიდან გამძევების პროცესი, მანამ, სანამ არ დასრულდება პრეტენზიის განხილვა; და (e) პრეტენზიები სიკვდილის ან არასათანადო მოპყრობის სერიოზულ რისკებთან დაკავშირებით სასამართლოების მიერ დეტალურად უნდა იქნას გამოკვლეული (*Auad v. Bulgaria*, 2011, § 139).

b. გადაცემა

57. გადაცემის საქმეში, სასამართლომ დაასკვნა, რომ, როდესაც მოპასუხე სახელმწიფომ შესაძლებელი გახადა განმცხადებლის გადაყვანა CIA-ის სხვა დაკავების ადგილას, პროგნოზირებადი რისკი შეუქმნა საიდუმლოს გამოაშკარავებას, ყოველგვარი კომუნიკაციის გარეშე და სხვაგვარად თვითნებური დაკავება (რაც წარმოადგენს მე-5 მუხლის დარღვევას), ასევე შემდგომი არასათანადო მოპყრობა და პატიმრობის პირობები, კონვენციის, რაც მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა რომ სასამართლო პროცესის დროს სასამართლოსთვის ცნობილი გახდა რომ მოპასუხე სახელმწიფომ მოითხოვა დახმარება და სასამართლო თანამშრომლობა აშშ-ის ხელისუფლებებისგან, მაინც

მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებული იყო მიეღო საჭირო ინდივიდუალური ზომები აღმოჩენილი დარღვევების მაქსიმალურად გამოსწორების მიზნით, რაც გულისხმობდა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უნდა ეცადა აშშ-ის ხელისუფლებისთვის დამატებითი წინადადებების წარდგენას ამ დარღვევების შედეგების მოშლის ან, სულ მცირე, მათი მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით (*Al-Hawsawi v. Lithuania*, 2024, § 277).

c. წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენცია

58. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Cestaro v. Italy*, 2015, სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა არაადეკვატური იყო, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებდა წამების შემთხვევის სათანადოდ დასჯას და არ ჰქონდა რაიმე შემაკავებელი ძალა, რათა სამომავლოდ მე-3 მუხლის დარღვევის პრევენცია მოეხდინა. ამრიგად, პრობლემის სტრუქტურული ხასიათი სასამართლოსთვის ცალსახა იყო. ამას გარდა, პრეცედენტულ სამართალში დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგივე პრობლემა არსებობდა არა მხოლოდ წამების, არამედ, აგრეთვე, მე-3 მუხლით აკრძალული სხვა სახის არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით: არ არსებობდა დებულება, რომელიც მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ყველა სახის არასათანადო მოპყრობას აკრძალავდა, ხოლო ხანდაზმულობის ვადის შესახებ დებულებასა და სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობას, პრაქტიკაში, შესაძლოა ხელი შეეშალა არა მხოლოდ წამების, არამედ, „არაადამიანური“ და „დამამცირებელი“ მოპყრობის ჩამდენთა დასჯისთვის, ამავე დებულების შესაბამისად, პროკურატურის და სასამართლოების მიერ გაწეული ყველა ძალისხმევის მიუხედავად.

59. რაც შეეხება იმ დონისძიებებს, რომლებიც აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად იყო საჭირო, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პირველ რიგში, მე-3 მუხლის მიხედვით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები შესაძლოა, მოიცავდეს სათანადო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის ვალდებულებას, კერძოდ, სისხლის სამართლის ეფექტიანი დებულებების დანერგვის გზით. აღნიშნული მოთხოვნა, აგრეთვე, მომდინარეობდა სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებიდან, როგორებიცაა, *inter alia*, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის მე-4 მუხლი; გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, გაეროს კომიტეტი წამების წინააღმდეგ გაეროს კომიტეტისა და წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები,. ამ კონტექსტში, სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ იტალიის სამართლებრივ სისტემაში დანერგილიყო სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც სათანადო სანქციებს დააკისრებდა წამებისა და სხვა ტიპის არასათანადო მოპყრობის

ფაქტებზე პასუხისმგებელ პირებს მე-3 მუხლის შესაბამისად, და მათ არ მისცემდა შესაძლებლობას, ესარგებლათ ღონისძიებებით, რომლებიც სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან შეუსაბამობაში იყო (*Cestaro v. Italy*, 2015, §§ 242-246).

ii. პროცედურული ასპექტი

60. სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან ნათლად იკვეთება, რომ კონვენციის მე-3 მუხლის, ისევე როგორც მე-2 მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება იმოქმედებს, თუ გამოძიების ჩატარება პრაქტიკაში შესაძლებელია, თუმცა, იგი არ ჩატარებულა ან ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებს კონვენციის სტანდარტებს. გამოძიების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობა დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიჩნეული იქნება შესაბამისი დებულების უწყვეტ დარღვევად, რაც უნდა გამოსწორდეს მიმდინარე გამოძიების გააქტიურებით, გაჭიანურების გარეშე. ამრიგად, კონვენციის სათანადო პრინციპების თანახმად, გამოძიება მაქსიმალურად სწრაფად უნდა დასრულდეს რამდენადაც ეს შესაძლებელია, კიდევ უკეთ იქნება განმარტებული საქმის გარემოებები და პირობები, რათა შესაძლებელი გახდეს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიკაცია, პასუხისმგებლობის დაკისრება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი დასჯა (აბუ ზუბაიდა ლიტვასთან, 2018, § 682; ალ-ჰავსავი ლიტვასთან, 2024, § 279). (*Abu Zubaydah v. Lithuania*, 2018, § 682; *Al-Hawsawi v. Lithuania*, 2024, § 279).

iii. კონკრეტული საკითხი: დაკარგული ადამიანები

61. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Aslakhanova and Others v. Russia*, 2012, §§ 222-239, რომელიც დაკარგულ ადამიანებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ პრობლემას ეხებოდა, სასამართლომ გასცა ქვემოთ წარმოდგენილი ვრცელი მითითებები 46-ე მუხლის შესაბამისად. განსახორციელებელი ღონისძიებების დაყოფა შესაძლებელია ორ ძირითად ჯგუფად:

a. მსხვერპლთა ოჯახის წევრების მდგომარეობა

62. პირველი და, სასამართლოს აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას, შეეხება დაკარგული ადამიანების ნათესავებს, რომლებიც იმყოფებიან მტანჯველ გაურკვევლობაში თავიანთი ოჯახის წევრების ბედსა და სავარაუდო გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, გაარკვიოს გარდაცვალების გარემოებები, ისევე როგორც საფლავების

ადგილმდებარეობა, შესაძლოა მომდინარეობდეს მე-3 მუხლიდან, ხოლო სასამართლოს მიერ ამ საკითხზე მანამდე მიღებული გადაწყვეტილებებიდან ნათლად იკვეთებოდა რომ სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიება ამ მხრივ განსაკუთრებით არაეფექტიანი იყო, რაც დაზარალებულებში ამძაფრებდა დაბნეულობისა და უმწიობის განცდას. როგორც წესი, გატაცების შემთხვევების გამოძიება - იმ გარემოებებში, რომელიც მიუთითებს ფარული უსაფრთხოების ოპერაციების ჩატარებაზე - ნათელს არ ჰყენს გაუჩინარებული ადამიანების ბედს. მიუხედავად ამ პრობლემის მასშტაბისა და სიმძიმისა, რაც არაერთ ეროვნულ და საერთაშორისო ანგარიშშია მითითებული, ადამიანური ტანჯვის ამ ასპექტზე რეაგირება სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მეშვეობით არაადეკვატური რჩებოდა.

63. სასამართლომ კიდევ ერთხელ წარმოადგინა წინადადება ერთიანი, საკმარისად მაღალი დონის ორგანოს შექმნის შესახებ, რომელიც იმუშავებდა რეგიონში დაკარგული ადამიანების საქმეებზე, რომელსაც ექნებოდა შეუზღუდავი წვდომა ყველა შესაბამის ინფორმაციაზე და იმუშავებდა გაუჩინარებული ადამიანების ნათესავების ნდობისა და მათთან თანამშრომლობის საფუძველზე. ამ ორგანოს შეუძლია შექმნას და აწარმოოს გაუჩინარების საქმეების ერთიანი მონაცემთა ბაზა.

64. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დაკავშირებულია სპეციფიკური და ადეკვატური რესურსების გამოყოფასთან, რომელიც საჭიროა ფართო მასშტაბიანი კრიმინალისტიკური და სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად, რაც მათ შორის მოიცავს, სავარაუდო სამარხების ადგილმდებარეობის განსაზღვრას და ექსპერტიზას; ნეშტების შეგროვებას, შენახვას და იდენტიფიცირებას და საჭიროების შემთხვევაში, სისტემატურ შედარებას განახლებულ გენეტიკურ მონაცემთა ბაზასთან. გონივრულ მიდგომას წარმოადგენს შესაბამისი რესურსების კონცენტრირება სპეციალიზებულ დაწესებულებაში, რომელიც იმუშავებს რეგიონში, სადაც გაუჩინარების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი და სავარაუდოდ, მჭიდროდ ითანამშრომლებს სპეციალიზებულ, მაღალი დონის ზემოხსენებულ ორგანოსთან ან იმუშავებს ამ ორგანოს ეგიდით.

65. პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი ეხება მსხვერპლთა ოჯახებისთვის ფინანსური კომპენსაციის გადახდას. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეულ გარემოებებში, მნიშვნელოვანი ფინანსური კომპენსაციის გადახდამ, „უიმედო და მტკივნეულ მდგომარეობაში მყოფ“ ნათესავებთან მიმართებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მკაფიო და ცალსახა აღიარებასთან ერთად, შესაძლოა უზრუნველყოს საკითხის გადაჭრა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე.

66. აღნიშნულის მსგავსად, უცნობი მოძალადეების მიერ მოკლული ან გაუჩინარებული ადამიანების საქმეებში, სასამართლომ არ გამორიცხა ზიანის ანაზღაურების შესახებ ცალმხრივი შეთავაზების წარდგენის შესაძლებლობა ამ

ადამიანების ნათესავებისთვის, როდესაც არსებობს *prima facie* მტკიცებულება, რომ ეროვნულ დონეზე ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის სტანდარტებს. კომპენსაციის საკითხის გარდა, ამგვარი შეთავაზება, როგორც მინიმუმ, უნდა შეიცავდეს აღიარებას ამ კუთხით და მოპასუხე მთავრობა უნდა იღებდეს ვალდებულებას, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, კონვენციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობების ფარგლებში, ჩაატაროს გამოძიება კონვენციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, რაც სასამართლოს არაერთ მსგავს საქმეშია განმარტებული.

b. გამოძიების ეფექტიანობა

67. ღონისძიებების მეორე ჯგუფი, რომელიც სასამართლოს თანახმად დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, ეხება სისხლის სამართლის გამოძიების არაეფექტიანობას, რომელიც იწვევს ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევების ჩამდენთა დაუსჯელობას.

68. სასამართლო ითვალისწინებს, რომ როდესაც ინციდენტიდან ბევრი წელია გასული, შესაძლოა საკმაოდ რთული იყოს თვითმხილველთა ჩვენებების მოპოვება ან სავარაუდო დამნაშავეების იდენტიფიცირება და მათ მიმართ საქმის აღძვრა. თუმცა, სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მკაფიო მოთხოვნებს შეიცავს პროცედურულ ვალდებულებასთან დაკავშირებით. მაშინაც კი, როდესაც გამოძიების შედეგები არასრულყოფილი, ხოლო ხელმისაწვდომი მტკიცებულებები არასაკმარისია, ეს მოპასუხე მთავრობას არ ათავისუფლებს საჭირო ძალისხმევის განხორციელების ვალდებულებისგან. შესაბამისად, მოპასუხე მთავრობა ვერ იტყვის, რომ მას მეტი არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

69. ადამიანის დადგენილი ან სავარაუდო გარდაცვალების შემთხვევების გამოძიების უწყვეტი ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სულ მცირე *prima facie* მტკიცებულება სახელმწიფოს მონაწილეობის შესახებ, ძალაში რჩება მაშინაც კი, თუ საქმის ჰუმანიტარული ასპექტი გადაწყვეტილია, კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად.

70. პრაქტიკულად რომ ვთქვათ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ გაუჩინარების შემთხვევები, რომელსაც წარსულში ადგილი ჰქონდა რეგიონში, დაექვემდებაროს ყოველმხრივ და კონცენტრირებულ ძალისხმევას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. იმ მკაფიო ტენდენციებისა და მსგავსებების გათვალისწინებით, რომლებიც ასეთი მოვლენების დროს აღინიშნება, უაღრესად მნიშვნელოვანია დროში გაწერილი ზოგადი სტრატეგიის ან სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომელიც ნათელს მოჰყენს იმ კითხვებს, რომლებიც ასეთი შემთხვევების დროს წამოიჭრება. კერძოდ, როდესაც არსებობს ეჭვები, რომ გატაცებები სახელმწიფოს

წარმომადგენელთაა მხრიდან განხორციელდა. ზემოხსენებული გეგმა უნდა შეიცავდეს არსებული სამართლებრივი განმარტებების ადეკვატურობის შეფასებას, რომლებიც აღწერს იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც გაუჩინარების შემთხვევების ფართოდ გავრცელებულ და სპეციფიკურ ფენომენს განაპირობებს.

71. საკითხის ფართო მასშტაბიდან, დარღვევების ხასიათიდან და მათი გამოსწორების გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახელმწიფომ უნდა მოამზადოს ყოველმხრივი და დროში გაწერილი სტრატეგია აღნიშნულ პრობლემებზე რეაგირებისთვის, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, და იგი წარუდგინოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხედველობის განხორციელებას.

iv. კონკრეტული საკითხი: პატიმრობის პირობები

72. სასამართლომ, კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, არაერთხელ წარმოადგინა განმარტებები პატიმრობის არაადეკვატურ პირობებთან დაკავშირებით. პატიმრობის პირობების შესახებ თემატურ დებატებში, მინისტრთა კომიტეტმა რამდენიმე ჯგუფად დაყო ის ელემენტები, რომლებზეც 46-ე მუხლის შესაბამისად მოპასუხე სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ რეაგირება, იმ სტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, რომელთა მიზანია პატიმრობის პირობების გაუმჯობესება და ციხის გადატვირთულობის შემცირება. ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების დანერგვა ასევე მიზნად ისახავს, არასათანადო მოპყრობის პრევენციას და არასათანადო მოპყრობისთვის კომპენსაციის მიკუთვნებას (იხ. [CM/Inf\(2018\)4](#)). რეკომენდაციები და სხვა რესურსები, რომლებზეც ეს დოკუმენტი მიუთითებს, აგრეთვე, წარმოდგენილია აღნიშნულ თემაზე სასამართლოს მიერ გაცემულ მითითებებში ([Ananyev and Others v. Russia](#), 2012, §§ 197-240; [Torreggiani and Others v. Italy](#), 2013, §§91-99; [Rezmiveş and Others v. Romania](#), 2017, §§115-126; და [Sukachov v. Ukraine](#), 2020, §§ 126-161). აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა ქვემოთ წარმოდგენილი ასპექტები.

a. ზომები, რომლებიც ამცირებს გადატვირთულობას და აუმჯობესებს პატიმრობის მატერიალურ პირობებს

73. თუ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს თითოეული პატიმრისთვის პატიმრობის იმგვარი პირობები, რომლებიც თავსებადია კონვენციის მე-3 მუხლთან, სასამართლო მას მოუწოდებს, განახორციელოს ქმედებები ციხის პოპულაციის შესამცირებლად, მაგალითად, არასაპატიმრო ღონისძიებების უფრო აქტიურად გამოყენებით, წინასწარი პატიმრობის მაჩვენებლის შემცირებით და ამგვარი პატიმრობის გადაჭარბებული ხანგრძლივობის თავიდან აცილებით.

74. სასამართლო არ უთითებს, თუ როგორ უნდა მოახდინონ სახელმწიფოებმა სისხლის სამართლის კანონმდებლობის და სისტემების ორგანიზება, ვინაიდან ეს პროცესები დაკავშირებულია კომპლექსურ სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხებთან, რაც სასამართლოს ფუნქციას სცდება. სასამართლო მიუთითებს CPT-ის მიერ გაცემულ რეკომენდაციებზე, მინისტრთა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შეფასებებსა და რეკომენდაციებზე, რომლებიც წარმოდგენილია „ციხის გადატვირთულობის შესახებ დოკუმენტში“⁸. აღნიშნული დოკუმენტი მიუთითებს ციხის გადატვირთულობასა და პატიმრობის არასათანადო მატერიალურ პირობებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების სხვადასხვა გზებზე.

75. რაც შეეხება წინასწარ პატიმრობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის განყოფილებაში არსებული საკნები CPT-სა და მინისტრთა კომიტეტის თანახმად, „სტრუქტურულად შეუფერებელია“ პატიმრობისთვის, რომლის ხანგრძლივობაც აჭარბებს რამდენიმე დღეს; ზემოხსენებული საკნები განკუთვნილია მხოლოდ მოკლევადიანი დაკავებებისთვის.

76. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას მსჯავრდების შემდგომ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რეფორმებზე, რომლებიც ეხება მაქსიმალური სასჯელების შემცირებას გარკვეულ დანაშაულებთან მიმართებით, ჯარიმების დაწესებას თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად და სასჯელისგან განთავისუფლებას. ამგვარ ღონისძიებებს, თავისუფლების აღკვეთის მრავალფეროვან ალტერნატიულ საშუალებებთან ერთად, შესაძლოა დადებითი გავლენას ჰქონდეს ციხის პოპულაციის შემცირებაზე. სხვა შესაძლო საშუალებები მოიცავს: იმ მოთხოვნები შემსუბუქება, რომელთა თანახმად სასამართლოს შეუძლია უარი თქვას სასჯელის დანიშვნაზე; სასჯელის მოხდის გადავადება; და რაც მთავარია, ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გაფართოება და პრობაციის სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

77. რაც შეეხება ახალი ციხეების აშენების კუთხით ინვესტიციას, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მინისტრთა კომიტეტის Rec(99)22 რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც ამგვარი ღონისძიება, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფს პრობლემის გრძელვადიან გადაწყვეტას. ამას გარდა, გარკვეულ ციხეებში არსებული სახიფათო ფიზიკური პირობების და არასათანადო ჰიგიენური ნორმების გათვალისწინებით, ფინანსური სახსრები, აგრეთვე უნდა გამოიყოს პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის არსებულ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოებისთვის (*Rezmiveş and Others v. Romania*, 2017, § 119).

⁸ European Committee on Crime Problems (CDPC) of the Council of Europe, ივნისი, 2016

b. სამართლებრივი დაცვის საშუალებები

78. რაც შეეხება ამ სახის საქმეებში იდენტიფიცირებული სისტემური პრობლემის გადასაჭრელად ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის საშუალებების დანერგვას, სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ როდესაც საქმე ეხება პატიმრობის პირობებს, „პრევენციული“ და „საკომპენსაციო“ ზომები ერთმანეთს უნდა განამტკიცებდეს. ამრიგად, როდესაც მომჩივანი იმყოფება ისეთ პირობებში, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს, დარღვეული უფლების აღდგენისთვის ყველაზე შესაფერისი ღონისძიებაა დარღვევის დაუყოვნებლივ შეწყვეტა. ამავდროულად, პატიმარს, რომელიც დაპატიმრებული იყო ღირსების შემლახავ პირობებში, უნდა ჰქონდეს დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, რათა მან მიიღოს სათანადო კომპენსაცია (*J.M.B. and Others v. France*, 2020, § 316).

79. აღნიშნულ კონტექსტში, სასამართლომ ინტერესით მიუთითა იმ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომლებიც ეხება სასჯელის შემცირებას, რამაც შესაძლოა გარკვეული კომპენსაცია უზრუნველყოს პატიმრობის არასათანადო პირობებთან დაკავშირებით, თუ სასჯელის შემცირება კონკრეტულად კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის გამოსწორებისთვის ხდება და მას აქვს გაზომვადი გავლენა სასჯელზე, რომელსაც იხდის შესაბამისი პირი (*Rezmiveş and Others v. Romania*, 2017, § 125). სასამართლო ამ საკითხს მიუბრუნდა ოთხი წლის შემდეგ და მიიჩნია, რომ ეროვნულ დონეზე პრეცედენტულ სამართალში პოზიტიური განვითარებები, რომლებიც ეხებოდა იმ ადამიანების მიერ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, რომლებიც პატიმრობის არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებს დაექვემდებარნენ, სასამართლოს აძლევდა საშუალებას, დაედგინა, რომ რუმინეთში არსებობდა ადეკვატური სამართლებრივი დაცვის საშუალება, ზიანის ანაზღაურების სახით (*Polgar v. Romania*, 2021, §§ 77-97 და § 108). თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ ციხის გადატვირთულობის პრობლემა მას არ აძლევდა საშუალებას, პრევენციული ძალის მქონე სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანად მიეჩნია; მან შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს მოუწოდა, შეემცირებინათ ციხეებში განთავსებული ადამიანების რაოდენობა იმ დონემდე, რომელთან გამკლავებასაც ისინი შეძლებდნენ (*idem.*, § 107).

c. არაფორმალური იერარქია პატიმრებს შორის

80. საქმეში, რომელიც ეხებოდა პატიმრებს შორის არაფორმალურ იერარქიას (*D v. Latvia*, 2024), სასამართლომ დაადგინა დარღვევა, გამომდინარე განმცხადებლის დამამცირებელი მოპყრობისგან, რაც გამოიხატა ფიზიკურ და სოციალურ იზოლაციაში, შეზღუდულ წვდომაში ციხის ძირითადი რესურსებზე და ადამიანებთან კონტაქტის უარყოფაში (თუმცა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი

არ გამხდარა). ეს მდგომარეობა, რომელიც მან წლების განმავლობაში მოითმინა, განპირობებული იყო იმით, რომ იგი არაფორმალურ იერარქიაში პატიმართა ყველაზე დაბალ კასტაში იმყოფებოდა. სასამართლომ კიდევ ერთი დარღვევა დაადგინა იმ მიზეზით, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო განმცხადებლის დაცვა, რადგან შიდა ხელისუფლებას არ გააჩნდა ეფექტიანი მექანიზმები მისი ინდივიდუალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ან პრობლემის კომპლექსურად მოსაგვარებლად. სასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად, შიდა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს არაფორმალური ციხის იერარქიების საკითხის გადაწყვეტა იმგვარად, რომ ეს გასცდეს საქმის კონკრეტულ გარემოებებს. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოიტანონ სათანადო დასკვნები აღნიშნული გადაწყვეტილებიდან და მიიღონ შესაბამისი ზოგადი ზომები. უფრო კონკრეტულად, შიდა სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ კონვენციის სტანდარტები, როგორც ეს გამოიყენეს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში (§ 62)

d. უცხოელთა დაკავების პირობები იმიგრაციის კონტექსტში

81. მიგრანტთა დაკავების პირობების კონტექსტში, სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა განმცხადებლის მიმართ, რომელიც იყო მოწყვლადი პირი, მისი სავარაუდო არასრულწლოვნობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე მე-5 მუხლის §1-ის დარღვევა, მათ შორის, მისი ხანგრძლივი დაკავების გამო ამ პირობებში (*A.D. v. Malta*, 2023). ამ დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ რეკომენდაცია მისცა მოპასუხე სახელმწიფოს გაეთვალისწინებინა შესაბამისი ზოგადი ზომების მიღება, რათა უზრუნველყო: (i) რომ შესაბამისი კანონმდებლობა პრაქტიკაში ეფექტიანად განხორციელებულიყო; (ii) რომ მოწყვლადი პირები არ დაეკავებინათ; (iii) რომ საჭირო დაკავების პერიოდი ყოფილიყო შეზღუდული ისე, რომ დაკავების საფუძველი დაკავშირებული ყოფილიყო იმიგრაციის კონტექსტთან; და (iv) რომ ისინი განეხორციელებინათ ისეთ ადგილებში და პირობებში, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა, რადგან ეს არ ეხებოდა კრიმინალური დანაშაულის ჩამდენ პირებს, არამედ უცხოელებს იმიგრაციის კონტექსტში (§ 211 – იხ. ასევე ქვემოთ მე-5 მუხლით მითითებული ზოგადი ზომები ამავე საქმეში).

e. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დაკავების პირობები პრევენციული დაკავების ფარგლებში

82. საქმეში *Miranda Magro v. Portugal*, 2024 წელს, სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის (და მე-5 მუხლის §1 (ე)) დარღვევა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირის მიმართ, რომელიც გათავისუფლებული იყო

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და პრევენციულ დაკავებაში იმყოფებოდა დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში საპატიმრო საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში, არასათანადო პირობებში და სათანადო დახმარებისა და მოვლის გარეშე, მისი შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებაში გადაყვანამდე. სასამართლომ გაითვალისწინა ციხეების წამების პრევენციის კომიტეტის (CPT), გაეროს წამების წინააღმდეგ კომიტეტის (CAT) და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ასევე ეროვნული ორგანოების (სახალხო დამცველის, როგორც „ეროვნული პრევენციული მექანიზმი“, NPM, და რეინტეგრაციისა და ციხეების სამსახურის გენერალური დირექტორატის) ანგარიშები, რომლებმაც ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები პორტუგალიის ციხის სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად აღიარეს. მიუხედავად ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში დადებითი ნაბიჯებისა, რომლებიც ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების უფრო ფართო ჯანმრთელობის სისტემის შესაბამის დაწესებულებებში განთავსებას უჭერდა მხარს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ კანონმდებლობის მიღება ვერ გადაწყვეტდა ამ საქმეში აღმოჩენილ პრობლემებს, რადგან ეფექტური ზომები იყო საჭირო დებულებების შესასრულებლად და გასატარებლად. სასამართლომ მოუწოდა მთავრობას, საკითხს მიუდგეს კონვენციით განსაზღვრული დაცვის სისტემის სულისკვეთებით. სასამართლომ დაასკვნა, რომ მისი დასკვნებისა და ციხის დაწესებულებებში პრევენციული დაკავების ზომების აღსრულების კონტექსტში წარმოშობილი პრობლემების სტრუქტურული ხასიათის გათვალისწინებით, აუცილებელი ნაბიჯები სასწრაფოდ უნდა გადაიდგას, რათა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო საცხოვრებელი პირობები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის შესაბამისი და ინდივიდუალური თერაპიის ფორმები, რომლებსაც განსაკუთრებული მოვლა სჭირდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რათა მოხდეს მათი საზოგადოებაში დაბრუნებისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა (§§ 106-07).“

v. კონკრეტული საკითხი: ოჯახში ძალადობა

83. მე-3 მუხლთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ოჯახში ძალადობას, არასათანადო მოპყრობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ბევრი სხვადასხვა ფორმა და მოიცავდეს მსხვერპლის მიმართ როგორც ფიზიკურ ძალადობას, ასევე მძიმე ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზიანს შიშის, იძულების, იზოლაციის, მაკონტროლებელი ქცევის და სხვ. მსგავსი ქმედებების შედეგად. ასეთი საქმეების განხილვისას, სასამართლო ითვალისწინებს როგორც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (შესაბამისი ორგანოების მიერ მსხვერპლის მიმართვებზე განხორციელებული რეაგირების ეფექტიანობა) და აგრეთვე,

შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არსებული ჩარჩოს (საკანონმდებლო, ინსტიტუციური, პროცედურული და პოლიტიკური) ადეკვატურობას ოჯახში ძალადობის პრევენციის, დამნაშავეთა დასჯისა და მსხვერპლთა დაცვის კუთხით. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Tunikova and Others v. Russia*, 2021, სასამართლომ დეტალურად გააანალიზა ეროვნულ სისტემაში არსებული ხარვეზები. მან მოპასუხე სახელმწიფოს მოუწოდა, კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, გაატაროს საკანონმდებლო და სხვა ტიპის ღონისძიებები, გაჭიანურების გარეშე, და გასცა დეტალური მითითებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის ყოვლისმომცველი და მიზნობრივი ღონისძიებები უნდა ყოფილიყო განხორციელებული. მითითებები ასახავს სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან მომდინარე სტანდარტებს, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, განსაკუთრებით, ევროპის საბჭოს (სტამბოლის კონვენცია) და გაეროს (CEDAW კონვენცია) მიერ დადგენილ სტანდარტებს. მითითებული ღონისძიებები მოიცავს: სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელებას, დამცავი ღონისძიებების ხელმისაწვდომობას, სწრაფ და პროაქტიულ რეაგირებას ოჯახში ძალადობის საჩივრებსა და სხვა ნიშნებზე, საზოგადოების აღქმების შეცვლას გენდერის ნიშნით მოტივირებულ ძალადობასთან დაკავშირებით, ინფორმაციის მიწოდებას დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების შესახებ, უწყებათაშორისი თანამშრომლობის უზრუნველყოფას და სხვადასხვა სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც მუშაობენ ოჯახში ძალადობის საქმეებზე (იხ. გადაწყვეტილების 145-158 პუნქტები).

c. მე-5 მუხლი

84. მე-5 მუხლის საფუძველზე განხილულ ზოგიერთ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ დადგენილი დარღვევები არ იძლეოდა სხვადასხვა ღონისძიებებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას და ამრიგად, სასამართლომ პირდაპირ მიუთითა საჭირო ღონისძიებებზე (იხ. ქვემოთ მე-9 მუხლთან დაკავშირებულ ქვეთავში, საქმე, რომელიც ეხება რუსეთში იეღოვას მოწმეებისათვის თავისუფლების აღკვეთას და მათ სისხლის სამართლებრივ დევნას, კონვენციის რამდენიმე მუხლის დარღვევით).

85. მაგალითად, საქმეში *Şahin Alpay v. Turkey*, 2018, §§ 194-195, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივება გამოიწვევდა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის გაგრძელებას და მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევას, დაემორჩილოს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას. შესაბამისად, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, იმ მიზეზების გათვალისწინებით, რის გამოც სასამართლომ დაადგინა დარღვევა და დარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის საჭიროებიდან

გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივანი უნდა გაეთავისუფლებინა წინასწარი პატიმრობიდან მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

86. საქმეში *S.K. v. Russia*, 2017, §§ 134-135, მომჩივანი იმყოფებოდა საიმიგრაციო პატიმრობაში. სასამართლომ მიუთითა როგორც ინდივიდუალურ, ისე ზოგად ღონისძიებებზე. მან დაადგინა, რომ მომჩივნის გაძევება დაარღვევდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს, ხოლო მისი განგრძობითი პატიმრობა არღვევდა მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტს. სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივანი უნდა გაეთავისუფლებინა დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან მომდევნო დღისა.

87. სხვა საქმეში, რომელიც ეხებოდა იმიგრანტთა დაკავებას (*A.D. v. Malta*, 2023), სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოვლენილმა პრობლემებმა შესაძლოა შემდგომში გამოიწვიოს სხვა მრავალი დასაბუთებული სარჩელი, რაც კონვენციის სისტემის მომავალი ეფექტიანობისთვის საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებისას ეროვნულ დონეზე ზოგადი ზომების მიღება უდავოდ იყო აუცილებელი. რაც შეეხება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას, მათ შორის, ჯანმრთელობის მიზეზების გამო დაკავების შესახებ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, მან აღნიშნა, რომ შეშფოთება უკვე გამოთქმული იყო CPT-ისა და კომისრის მიერ. ამრიგად, სასამართლომ მოუწოდა მთავრობას, უზრუნველყო შიდა კანონმდებლობაში ნებისმიერი ასეთი დაკავებისთვის იურიდიული საფუძველი, სამართლებრივი სიცხადის ზოგადი პრინციპის შესაბამისად (§§ 209-210 – იხ. აგრეთვე ზემოთ აღნიშნული ზოგადი ზომები მე-3 მუხლით ამავე საქმეში).

d. მე-6 მუხლი

88. სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში ხშირია საქმეები, რომლებიც ეხება სამართალწარმოების გაჭიანურებას, რაც ხშირად დაკავშირებულია სტრუქტურულ პრობლემებთან. მინისტრთა კომიტეტის მიერ დადგენილი წესები ასახულია *CM/Rec(2010)3* რეკომენდაციაში, რომელიც ეხება სამართალწარმოების გაჭიანურების გასაჩივრების ეფექტიან საშუალებებს. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა გადადგან გარკვეული ნაბიჯები, რათა აღმოფხვრან გაჭიანურების სტრუქტურული პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ მათ აგრეთვე დანერგონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც დააჩქარებს სამართალწარმოებას და ასევე, უზრუნველყოფს კომპენსაციას [სამართალწარმოების] გაჭიანურებისთვის. ამ თემასთან დაკავშირებით

გაკეთებულ მითითებებში სასამართლო, აგრეთვე, აღნიშნავს ზემოხსენებულ რეკომენდაციას.

89. სასამართლოს თანახმად, თუ სასამართლო სისტემა გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი გონივრული ვადის მოთხოვნასთან დაკავშირებით, პრობლემის გადაჭრის ყველაზე ეფექტური გზაა სამართალწარმოების დასაჩქარებლად შესაბამისი ღონისძიების დანერგვა, გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად. ამგვარი ღონისძიება გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ღონისძიება, რომელიც მხოლოდ ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს, ვინაიდან იგი ახდენს იმავე სამართალწარმოების ფარგლებში სხვა დარღვევების დადგენის პრევენციას, განსხვავებით ღონისძიებისგან, რომელიც მოიცავს ზიანის ანაზღაურებას და დარღვევის მხოლოდ *a posteriori* გამოსწორებას უზრუნველყოფს. სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ შესანიშნავად გაიაზრა აღნიშნული და დანერგა ორი ტიპის სამართლებრივი დაცვის საშუალება, ერთი, რომელიც შექმნილია სამართალწარმოების დასაჩქარებლად და მეორე, რომელიც უზრუნველყოფს კომპენსაციას (*Gazsó v. Hungary*, 2015, § 39).

90. 46-ე მუხლის მიხედვით სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლება არის დადგენილი პრაქტიკა, რომელიც აღიარებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ მე-6 მუხლთან დაკავშირებით. წევრი სახელმწიფოებიდან მხოლოდ ლიხტენშტეინში არ არსებობს სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების ან გამოძიების ხელახლა დაწყების შესაძლებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (*Moreira Ferreira v. Portugal (No. 2)*, 2017, § 39).

91. შესაბამისად, თითქმის ყველა მომჩივანს, რომელიც დაექვემდებარა მე-6 მუხლის დარღვევას, აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა. სასამართლო ზოგჯერ მიუთითებს ამ შესაძლებლობაზე და აცხადებს, რომ დარღვეული უფლების აღდგენის ყველაზე შესაფერისი ფორმაა *de novo* სასამართლო პროცესი ან საქმის წარმოების განახლება, მომჩივნის მოთხოვნის შემთხვევაში (*Öcalan v. Turkey [GC]*, 2005, § 210, *Sakhnovskiy v. Russia. [GC]*, 2010, § 112).

92. თუმცა, სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შიდა სამართალწარმოების განახლება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. მსგავსი მითითება გააკეთა სასამართლომ გადაწყვეტილებაში საქმეზე *Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland*, 2010, (§§ 64-67), სადაც დარღვევა უკავშირდებოდა პირველ ინსტანციაში „შემფასებლების“ (სტაჟიორი მოსამართლე, რომლის გათავისუფლებაც შესაძლებელია აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანების საფუძველზე) გამოყენებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ სტრუქტურული

პრობლემა უკვე გამოსწორებული იყო ეროვნულ დონეზე, კერძოდ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ „შემფასებლის“ როლი არაკონსტიტუციურად მიიჩნია. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ ის არ დაუშვებდა „შემფასებლების“ მიერ მანამდე გადაწყვეტილი საქმეების ხელახლა განხილვას, რადგან აღნიშნული ძირს გამოუთხრიდა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპს. სასამართლომ ასევე, მიიჩნია, რომ ეს ხარვეზი შემფასებლების მიერ ინდივიდუალურ საქმეებში მიღებულ გადაწყვეტილებებს ავტომატურად არ უკარგავდა ლეგიტიმურობას. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული განმარტება არ მიიჩნია თვითნებურად ან ცალსახად არაგონივრულად და მიუთითა საკუთარ პრეცედენტულ სამართალზე, სადაც ხაზგასმულია სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის მნიშვნელობა, ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების კონტექსტში. ერთმა მომჩივანმა სასამართლოს წარუდგინა განსხვავებული არგუმენტი და განაცხადა, რომ ვინაიდან მისი თავდაპირველი დევნა იყო პოლიტიკურად მოტივირებული, სასამართლოს მიერ მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის შემდეგ ეროვნულ დონეზე არ უნდა განახლდეს საქმის წარმოება ვინაიდან ბრალდებები კვლავ უსაფუძვლო იქნებოდა, ხოლო ეროვნული სასამართლოები არ იქნებოდნენ დამოუკიდებლები ან მიუკერძოებლები. სასამართლომ ამ არგუმენტის განხილვისას მიუთითა, რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში არსებობს დებულება, რომელიც ეხება საქმის წარმოების განახლებას ისეთ საქმეებში, სადაც დადგინდა კონვენციის დარღვევა და მიიჩნია, რომ დამატებითი კომენტარების გაკეთება მომჩივანთან დაკავშირებული ინდივიდუალური ღონისძიებების შესახებ არ იყო საჭირო (*Nevzlin v. Russia*, 2022, §§ 195-199).

93. სასამართლოს გაცემული აქვს მითითებები მე-6 მუხლის სხვა ტიპის დარღვევებთან დაკავშირებით. მაგალითად, მან გამოავლინა სტრუქტურული ხარვეზი რუსეთის კანონმდებლობაში, არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების „სატესტო შესყიდვების“ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ხორციელდებოდა ამგვარი პრაქტიკის ბოროტად გამოყენების („დანაშაულის პროვოცირება“) აღკვეთისკენ მიმართული ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტიების არ არსებობის პირობებში. სასამართლომ მიუთითა ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე, რათა დადგინდეს მკაფიო და განჭვრეტადი პროცედურა ამგვარი ფარული ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლო ორგანომ უზრუნველყოს ეფექტიანი გარანტიები აღნიშნული პროცედურის ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად. აღნიშნული, თავის მხრივ, ეროვნულ სასამართლოებს საშუალებას მისცემს, სათანადოდ შეისწავლონ საჩივრები დანაშაულის პროვოცირების შესახებ კონვენციის სტანდარტების შესაბამისად (*Kuzmina and Others v. Russia*, 2021, §§ 108-120).

94. არაერთ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის საქმე ეროვნულ დონეზე არ განუხილავს „კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოს“, რაც მე-6 მუხლის მოთხოვნას წარმოადგენს. სასამართლომ 46-ე მუხლის გათვალისწინებით განიხილა, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამგვარი დარღვევის დადგენას. საქმეში *Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland* [GC], 2020, მე-6 მუხლის დარღვევა განაპირობა ახლადშექმნილ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურაში იუსტიციის მინისტრის ჩარევამ, რომელმაც არ დაიცვა კანონით გათვალისწინებული პროცედურა. 46-ე მუხლის თანახმად, მომჩივანთან დაკავშირებით სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მომჩივანს არ სურდა, მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების განახლება. ევროპულმა სასამართლომ შემდგომ განმარტა, რომ დარღვევის დადგენა სახელმწიფო ორგანოებს ავტომატურად არ აკისრებდა ყველა იმ საქმის წარმოების განახლების ვალდებულებას, რომელთა მიმართაც ძალაში შევიდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (*res judicata*). სხვა საქმეში, რომელიც ეხება შიდა დონეზე განმცხადებლის უფლების უზრუნველსაყოფად „კანონით დადგენილ ტრიბუნალს“, სასამართლომ აღნიშნა რომ მთავრობის არგუმენტები, რომ საქმის ხელახალი გახსნის შესაძლებლობა (რომელიც მოიცავდა პროკურორის შემოწმებას და გათავისუფლებას) იყო არ არის სრულიად ნათელი შიდა კანონმდებლობით. თუმცა, ვინაიდან შესაძლოა არსებობდეს სამართლებრივი გზა საქმის ხელახალი გახსნისთვის, სასამართლომ მიუთითა, რომ ამის გაკეთება და განმცხადებლის საქმის მე-6 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად ხელახლა განხილვა, იქნება ანაზღაურების ყველაზე შესაფერისი ფორმა. მომჩივანმა, თუ მოითხოვა ეს (*Besnik Cani v. Albania*, 2022, §§ 144-149).⁹

95. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland*, 2021, უფრო ფართო სისტემური პრობლემა გამოიკვეთა. მომჩივნებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ უზენაესი სასამართლოს ახლად შექმნილი საგანგებო განხილვისა და საზოგადოებრივ საქმეთა პალატა არ აკმაყოფილებდა მე-6 მუხლის მოთხოვნებს მისი წევრების დანიშვნის გარემოებების გამო. ევროპული სასამართლოს თანახმად, მის გადაწყვეტილებაში დადგენილი შიდა კანონმდებლობის დარღვევები, რომლებსაც განაპირობებდა კანონის უზენაესობის, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის და სასამართლოს დამოუკიდებლობის უგულვებელყოფა, ჩრდილს აყენებდა მოსამართლეთა დანიშვნის პროცესს. აღნიშნული კიდევ უფრო გაამწვავა სახელმწიფოს მეთაურის ქმედებებმა, რომელმაც უხეშად დაარღვია კანონის უზენაესობა, როდესაც კვლავ გააგრძელა მოსამართლეების დანიშვნა მიუხედავად სასამართლოს დადგენილებისა, რომელიც აღნიშნულ პროცესს აჩერებდა.

⁹ ანალოგიური მიდგომა იქნა მიღებული სხვა საქმეში, რომელიც ეხება პროკურორის შემოწმებას და გათავისუფლებას, რაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არაპროპორციული ჩარევა იყო მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში (*Sevdari v. Albania*, 2022).

სასამართლომ განაცხადა, რომ მოსამართლეების დანიშვნის პროცედურა, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არასათანადო გავლენაზე მიუთითებდა, *per se* შეუთავსებელია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან. აღნიშნული წარმოადგენს ფუნდამენტურ დარღვევას, რომელიც უარყოფითად აისახება მთლიან პროცესზე და ზიანს აყენებს ამგვარად დანიშნული მოსამართლეებისგან შემდგარი სასამართლოს ლეგიტიმურობას. სასამართლოს არ გაუცია კონკრეტული მითითებები 46-ე მუხლის საფუძველზე, თუმცა, მან მიუთითა, რომ სასამართლოს დასკვნამ შესაძლოა სისტემური გავლენა იქონიოს მომავალში მოსამართლეების დანიშვნებზე ყველა სასამართლოში. სასამართლომ აღნიშნა, რომ პრობლემა სათავეს იღებდა 2017 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან, რაც სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან.

96. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Advance Pharma sp. z o.o v. Poland*, 2022 წ., სასამართლო კვლავ მიუბრუნდა ამ საკითხს. მან აღნიშნა, რომ მოსამართლეთა დანიშვნების არსებული ფორმით განხორციელება აძლიერებდა სისტემურ დისფუნქციას ეროვნულ სასამართლო სისტემაში, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა კანონის უზენაესობის კრიზისს ქვეყანაში. რაც შეეხება 2017 წელს მიღებული წესების საფუძველზე დანიშნული მოსამართლეების მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებს, სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთი გამოსავალი შესაძლოა ყოფილიყო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ზოგადი ღონისძიებების განხორციელება უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ პოზიციაზე დაყრდნობით. უზენაესმა სასამართლომ 2020 წლის დასაწყისში ამ საკითხზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო (იხ. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების 127-ე პუნქტი). თუმცა, საბოლოოდ ხელისუფლების ორგანოებზე დამოკიდებული ევროპული სასამართლოს არგუმენტებზე დაყრდნობით სათანადო დასკვნების გაკეთება და ზომების მიღება დადგენილი პრობლემების ძირეული გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად, ისევე როგორც მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად (იხ. §§ 364-366). მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ამ საქმეებზე რეაგირების არარსებობის და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აღსრულებისას მოპასუხე სახელმწიფოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ეჭვქვეშ დაყენების გამო, თავი იძულებულად ჩათვალა, გამოყენებინა საპილოტე გადაწყვეტილების პროცედურა შემდგომ საქმეში და მიეწოდებინა უფრო დეტალური მითითებები იმ ზოგადი ზომებისა, რომლებიც უნდა იქნას მიღებული ამ საქმეებში გამოვლენილი სისტემური პრობლემის მოგვარების მიზნით (*Wałęsa v. Poland*, 2023, §§ 326-32 და სარეზოლუციო ნაწილის 6-7 პუნქტები).

97. კიდევ ერთი ძალიან ფართო და სისტემური პრობლემა, რომელიც პოტენციურად გავლენას ახდენს ათასობით ადამიანზე, გამოვლინდა საქმეში *Yüksel Yalçinkaya v. Türkiye* ([GC], 2023 წ.), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საქმეში მე-6 და მე-7 მუხლების დარღვევები ძირითადად წარმოქმნილი იყო ეროვნული სასამართლოების მიერ დაშიფრული მესიჯების პროგრამის ByLock გამოყენების ინტერპრეტაციის გამო. ამ მიდგომის თანახმად, ნებისმიერი პირი, რომლის მიერ ამ პროგრამის გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ დაადასტურდა, პრინციპში, შეიძლება იყოს მსჯავრდებული შეიარაღებული ტერორისტული ორგანიზაციის წევრობაზე (თურქეთის ხელისუფლების მიერ აღწერილი როგორც „ფეთულაჰის ტერორისტული ორგანიზაცია/პარალელური სახელმწიფო სტრუქტურა“, ან FETÖ/PDY, და ხელისუფლების მიერ განიხილებოდა როგორც 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში განხორციელებული გადატრიალების მცდელობის უკან არსებულ ძალად) სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით. ამრიგად, ეს სიტუაცია არ იყო გამოწვეული ცალკეული ინციდენტით, არამედ სისტემური პრობლემით და გავლენას ახდენდა ადამიანთა დიდ ნაწილზე, რაც დასტურდება იმით, რომ სასამართლოში 8000-ზე მეტი მსგავსი საჩივარი განიხილებოდა ByLock-ის გამოყენებაზე დაფუძნებულ ნასამართლობასთან დაკავშირებით (და ხელისუფლების მიერ გამოვლენილი ByLock-ის ასი ათასი მომხმარებელი). შესაბამისად, ამ საქმეში გამოვლენილი ხარვეზები საჭიროებდა უფრო ფართო მასშტაბის გამოსწორებას - ანუ წინამდებარე განმცხადებლის კონკრეტული შემთხვევის მიღმა. უფრო კონკრეტულად, შიდა სასამართლოებს მოეთხოვებოდათ სათანადოდ გაეთვალისწინებინათ შესაბამისი კონვენციის სტანდარტები, როგორც ეს არის ინტერპრეტირებული და გამოყენებული ამ საქმეში (იხ. §§ 413-18).

e. მე-7 მუხლი

98. მე-7 მუხლის დარღვევის შემთხვევაში, სასამართლო ზოგჯერ უთითებს ინდივიდუალურ ღონისძიებებს: ეროვნულ დონეზე საქმის წარმოების განახლება, მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე (*Dragotoni and Militaru-Pidhorni v. Romania*, 2007, § 55, გამოყენებული იქნა იგივე პრინციპი, რომელიც გამოიყენება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით პირის მსჯავრდების შემთხვევაში); მომჩივნის გათავისუფლება პირველივე შესაძლებლობისთანავე (*Del Río Prada v. Spain* [GC], 2013, § 139, სადაც სასამართლომ დაადგინა მე-7 მუხლის და მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა); ან მოპასუხე სახელმწიფოსათვის მითითების გაცემა, უზრუნველყოს უვადო პატიმრობის ჩანაცვლება სასჯელით, რომელიც არ აღემატება 30 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას, უფრო მსუბუქი სასჯელის

რეტროაქტიულობის პრინციპიდან გამომდინარე (*Scoppola v. Italy (no. 2)* [GC], 2009, § 154 და სარეზოლუციო ნაწილის დებულება no. 6 (a)).

f. მე-9 მუხლი

99. მე-9 მუხლის კონტექსტში, სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის წარმოების განახლება ეროვნულ დონეზე, შესაძლოა, წარმოადგენდეს დადგენილი დარღვევის გამოსწორების შესაძლებლობას (*Biblical Centre of the Chiuvasch Republic v. Russia*, 2014, § 66).

100. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Taganrog LRO and Others v. Russia*,* 2022, სასამართლომ დაადგინა რამდენიმე მუხლის დარღვევა, კერძოდ, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების დარღვევა, ცალკე აღებული და თითოეულ მუხლთან ერთობლიობაში, ასევე მე-5 მუხლის დარღვევა. საქმე შეეხებოდა, *inter alia*, რუსეთში იელოვას მოწმეთა ადმინისტრაციული ცენტრისა და მათი ლოკალური რელიგიური ორგანიზაციების იძულებით დაშლას; იელოვას მოწმეების პუბლიკაციების და მათი საერთაშორისო ვებსაიტის „ექსტრემისტულად“ მიჩნევას; იმ ფაქტს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს რელევანტური და საკმარისი მიზეზები და ვერ უზრუნველყვეს სამართალწარმოების შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვა, როდესაც აღნიშნული პუბლიკაციები „ექსტრემისტულად“ გამოცხადდა და იელოვას მოწმეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა მიმდინარეობდა; რამდენიმე მომჩივნის მიმართ საქმის უკანონოდ აღძვრას, ღვთისმსახურების გამო; და ერთ-ერთი მომჩივნის უკანონო წინასწარ პატიმრობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ იელოვას მოწმეების სამართლებრივი დევნა და დაპატიმრება წარმოადგენდა მათი უფლებების დარღვევას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად რუსეთზე დაკისრებულ ვალდებულებას, დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს მოსაზრება შეესაბამებოდა უკანონო პატიმრობის შესახებ გაეროს სამუშაო ჯგუფის მოთხოვნას პატიმრობაში მყოფი იელოვას მოწმეების განთავისუფლების თაობაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთს უნდა მიეღო ყველა აუცილებელი ღონისძიება იელოვას მოწმეების წინააღმდეგ მიმდინარე ყველა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის მიზნით და თავისუფლებააღკვეთილი იელოვას მოწმეების გასათავისუფლებლად (§ 290). მან აღნიშნული მითითება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშიც შეიტანა.

გ. მე-10 მუხლი

101. გადაწყვეტილებაში საქმეზე *OOO Informatiionnoye Agentstvo Tambov-Inform v. Russia*, 2021, სასამართლომ დაადგინა ონლაინ მედია საშუალების გამოხატვის თავისუფლების დარღვევა, ვინაიდან საპარლამენტო არჩევნებამდე პერიოდში მედიაზე გარკვეული შეზღუდვები დაწესდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული შეზღუდვები ეფუძნებოდა ბუნდოვან კრიტერიუმებს, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებს უაღრესად ფართო დისკრეციას ანიჭებდა. სასამართლომ, აგრეთვე, ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობდა სპეციფიკური რეგულაცია, რომელიც არჩევნების დროს მედია კომპანიების მიერ ონლაინ მასალების გამოქვეყნებასთან შეეხებოდა. სასამართლომ მიუთითა შესაბამისი წესების ფართო მოქმედების არეალზე, გარკვეული ასპექტების ბუნდოვანებასა და მედია საშუალებების შესახებ არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ზოგად ბუნდოვანებაზე. მან მოპასუხე სახელმწიფოს მოუწოდა, მიეღო საჭირო ზომები არჩევნების დროს მედია საშუალებების (ბეჭდური და ონლაინ) გამოხატვის თავისუფლებისა და სარედაქციო დამოუკიდებლობის დასაცავად და ასევე, „წინასაარჩევნო კამპანიის“ მარეგულირებელი წესების „მსუსხავი ეფექტის“ გასაანეიტრალებლად (§§ 126-128).

h. მე-14 მუხლი

102. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Stoyanova v. Bulgaria*, 2022, სასამართლომ დაადგინა მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში. საქმე ეხებოდა მომჩივნის შვილზე თავდასხმას, რომელიც მისი სიკვდილით დასრულდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთმა საკმარისად არ განახორციელა მასზე დაკისრებული მოვალეობა, სათანადო რეაგირება მოეხდინა დაზარალებულის სავარაუდო ან რეალური სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე განხორციელებულ მტრულ თავდასხმებზე. სასამართლომ 46-ე მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ დარღვევა, როგორც ჩანს, სისტემურ ხასიათს ატარებდა და გამოწვეული იყო სისხლის სამართლის კოდექსში არსებული დებულებებით, სასამართლოს მიერ მისი ინტერპრეტაციითა და გამოყენებით. იმის მიხედვით თუ როგორ შევხედავთ საკითხს, დარღვევა განაპირობა ან სისხლის სამართლის კოდექსში არსებულმა ხარვეზმა ან ეროვნული სასამართლოების მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტებამ და გამოყენებამ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მის კომპეტენციას არ წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, იყო თუ არა აუცილებელი ერთის ან მეორის შეცვლა სამომავლო დარღვევების თავიდან ასარიდებლად. დასკვნის სახით, სასამართლომ მიუთითა, რომ ბულგარეთმა უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის რეალური ან სავარაუდო სექსუალური ორიენტაციის მოტივის განხილვა დამამძიმებელი გარემოების სახით.

თუმცა, სისხლის სამართლის ამგვარმა განმარტებამ არ უნდა დააზიანოს ბრალდებულის ინტერესები (§§ 78-79).

103. რაც შეეხება, მაგალითად, სკოლებში სეგრეგაციას, სასამართლომ, სხვადასხვა სახელმწიფოსთან დაკავშირებულ რამდენიმე საქმეში დაადგინა, რომ რომა ბავშვები ექვემდებარებოდნენ ამ პრაქტიკას, სისტემურად ან იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ამ ჯგუფის წევრების ზედმეტი წარმომადგენლობის საკითხის მოგვარება აღნიშნულ სკოლებში. კერძოდ, ორ გადაწყვეტილებაში, სასამართლომ აღნიშნა, მუხლი 46-ის კვალდაკვალ, რომ „საზოგადოების წევრების თანაარსებობა რასობრივი სეგრეგაციის გარეშე წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტურ ღირებულებას და ინკლუზიური განათლება არის ყველაზე შესაფერისი საშუალება, რათა უზრუნველყოს უნივერსალურობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ძირითადი პრინციპების გარანტია განათლების უფლებაში“. ასევე აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სეგრეგაციის დასრულება შესაბამის სკოლებში (*Elmazova and Others v. North Macedonia*, 2022, § 89), და უფრო ზოგადად, შეიმუშაონ პოლიტიკა სკოლებში სეგრეგაციის წინააღმდეგ და მიიღონ ზომები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად (*Szolcsán v. Hungary* 2023, § 69).

i. მე-18 მუხლი მე-5 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში

104. გადაწყვეტილებაში საქმეზე *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (46 § 4 მუხლი) სასამართლომ კონვენციის 46-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებები განიხილა მას შემდეგ, რაც დაადგინა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მიუთითა ამავე საქმეზე მის მიერ გამოტანილ თავდაპირველ გადაწყვეტილებაზე, სადაც აღსრულებასთან დაკავშირებული რაიმე სახის მითითება არ ყოფილა წარმოდგენილი. როდესაც დიდმა პალატამ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი აღსრულების ღონისძიებები განიხილა, მან დაადგინა, რომ აზერბაიჯანს მოეთხოვებოდა იმ ბრალდებასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ უკანონოდ ცნო. აღნიშნული დასკვნის გათვალისწინებით, მამადოვის-ის საქმეში მიღებული პირველი გადაწყვეტილება და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის შესაბამისი ვალდებულება, თავდაპირველად, სახელმწიფოს ავალდებულებდა, შეემსუბუქებინა ან გაეუქმებინა ბრალი, რომელიც სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და ასევე, დაესრულებინა ბატონი მამადოვის წინასწარი პატიმრობა. ფაქტობრივად, მომჩივნის წინასწარი პატიმრობა დასრულდა მაშინ, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ 2014 წლის მარტში ის დამნაშავედ ცნო. თუმცა, ბრალი

არ გაუქმებულა. პირიქით, მისი მსჯავრდება თავიდან ბოლომდე ამ ბრალს ეფუძნებოდა. შესაბამისად, ის ფაქტი რომ მოგვიანებით მომჩივანი დააპატიმრეს აღნიშნული მსჯავრდების საფუძველზე (და ის არ იყო დაპატიმრებული წინასწარი პატიმრობის ფარგლებში), მომჩივანს არ აყენებდა იმ პოზიციაში, რომელშიც იგი იქნებოდა კონვენციის მოთხოვნები რომ არ დარღვეულიყო. ამგვარად, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ძირითადი ვალდებულება კვლავ მოითხოვდა სადავო ბრალის წარდგენასთან დაკავშირებული უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას, მათ შორის, მომჩივნის პატიმრობიდან გათავისუფლების გზით. სასამართლომ განიხილა, რამდენად შესაძლებელი იყო იმ სიტუაციის აღდგენა, რომელიც არსებობდა უკანონო ბრალის წარდგენამდე ან, იქნებოდა თუ არა აღნიშნული „მატერიალურად შეუძლებელი“ ან ხომ არ აწესებდა „არაპროპორციულ ტვირთს, რომელიც აღემატება კომპენსაციის ნაცვლად რესტიტუციით მიღებულ სარგებელს.“ ამ ელემენტებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა დაბრკოლებები, რომლებიც ხელს შეუშლიდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიღწევას. შესაბამისად, კონვენციის 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, აზერბაიჯანს მოეთხოვებოდა, აღმოეფხვრა იმ სისხლის სამართლის ბრალდების უარყოფითი შედეგები, რომელიც ევროპულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია და პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა ბატონი მამადოვი.

105. სასამართლომ ზემოხსენებული გადაწყვეტილების შემდეგ მიღებულ არაერთ საქმეში, სადაც მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში, გადაწყვიტა, 46-ე მუხლის საფუძველზე გაეკეთებინა მიეთითებინა, რომ მომჩივანი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლებულიყო და აღნიშნული ასევე მიეთითებინა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში (იხ. *Kavala v. Turkey*, 2019, §§ 235-240). საქმეში *Selahattin Demirtaş v. Turkey* (no. 2) [GC], 2020, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს, მომჩივანი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, რამდენიმე სხვა ბრალდების საფუძველზე, რასთან დაკავშირებითაც მას საჩივარი ჰქონდა წარდგენილი ევროპულ სასამართლოში. იმის გათვალისწინებით, რომ ახალი ბრალდებები უკავშირდებოდა იმავე ფაქტებს, რომლებიც ევროპული სასამართლოს თანახმად არასაკმარისი იყო მომჩივნის თავისუფლების აღკვეთის დასაბუთებისთვის, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანი უნდა გაეთავისუფლებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო შეძლებდა თავისუფლების უფლების უგულვებელყოფას (§§ 440-442).

106. დარღვევასთან დაკავშირებული მეორე სამართალწარმოების ფარგლებში, რომელიც ინიცირებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 46-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სასამართლოს დაევალა შეეფასებინა, თურქეთის მიერ *Kavala v. Turkey*, 2019, ხსენებული საქმის საპასუხოდ განხორციელებული

ღონისძიებები. აღნიშნულ საქმეში დადგინდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, ცალკე აღებული და მე-18 მუხლთან ერთობლიობაში. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan*, 2014, საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, *Kavala v. Turkey*, 2019 გადაწყვეტილება შეიცავდა მკაფიო ინსტრუქციებს მის აღსრულებასთან დაკავშირებით, როგორც სასამართლოს არგუმენტების, ისე სარეზოლუციო ნაწილში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევის გამოსწორება, იმის გათვალისწინებით, რომ დარღვევა უკავშირდებოდა პატიმრობას, რომელიც აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა მე-18 მუხლს მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთობლიობაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვა მნიშვნელოვანი და ადეკვატური ფაქტორების არარსებობის პირობებში, ერთი და იმავე ფაქტების განსხვავებულად კვალიფიცირება ვერ შეცვლიდა მისი დასკვნების საფუძველს, რადგან განსხვავებული კვალიფიკაცია წარმოადგენდა იმ ფაქტების განსხვავებულ ინტერპრეტაციას, რომელიც სასამართლომ უკვე შეისწავლა. სხვა შემთხვევაში, სასამართლო ორგანოები შემლებდნენ ადამიანებისთვის თავისუფლების აღკვეთის გაგრძელებას, ერთი და იმავე ფაქტებთან დაკავშირებით ახალი სისხლის სამართლებრივი გამოძიებების დაწყების გზით. ამგვარი სიტუაციები წარმოადგენს კანონის გვერდის ავლას და კონვენციის მიზანთან შეუთავსებელია (*Kavala v. Türkiye* [GC], 2022, §§ 143- 148). სასამართლომ თავის ანალიზში, აგრეთვე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ზედაპირული მდგომარეობის მიღმა შეისწავლოს არსებული რეალობა, რომელსაც ეხება წარდგენილი საჩივარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულება პრაქტიკაში აზრს მოკლებული იქნებოდა (*ibid.*, § 162). სასამართლომ დაასკვნა, რომ თურქეთის მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ მიუთითებდა, რომ იგი მოქმედებდა „კეთილსინდისიერად“ და იმგვარად, რაც თავსებადი იქნებოდა 2019 წლის *Kavala v. Turkey*-ის გადაწყვეტილების „დასკვნებსა და სულისკვეთებასთან“. უფრო მეტიც, ამ ზომებმა ეფექტიანად ვერ უზრუნველყო იმ კონვენციური უფლებების დაცვა, რომელთა დარღვევაც სასამართლომ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაადგინა (*ibid.*, § 173).

107. მე-18 მუხლთან დაკავშირებულ სხვა საქმეებში სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებები პრიორიტეტულად უნდა ითვალისწინებდეს ხელისუფლების კრიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველების დაცვას უკანონო დაკავებისა და დაპატიმრებისგან. სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ზომები უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანთა ამ ჯგუფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების პრევენციას და მომავალში მსგავსი პრაქტიკის დაუშვებლობას (*Aliyev v. Azerbaijan*, 2018, §§ 223-228).

j. 34-ე მუხლი

108. იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს 34-ე მუხლის დარღვევას და საქმე ეხება გაძევებას, დეპორტაციას ან გატაცებას, მომჩივანი ხშირად იმყოფა მოპასუხე სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იმ დროისთვის, როდესაც სასამართლო დაადგენს დარღვევას. მსგავს შემთხვევებში, სასამართლომ განაცხადა, ის ფაქტი, რომ მომჩივანი იმყოფება მოპასუხე სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა, სავარაუდოდ, სახელმწიფოსთვის ართულებს მასთან დაკავშირებას და მის სასარგებლოდ შესაბამისი ზომების მიღებას. თუმცა, ეს გარემოებები მოპასუხე სახელმწიფოს თავისთავად არ ათავისუფლებს სამართლებრივი ვალდებულებისაგან, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს ყველა ზომა, რათა აღმოფხვრას დადგენილი დარღვევა და გამოასწოროს მისი შედეგები.

კონკრეტული ზომები შესაძლოა განსხვავდებოდეს თითოეული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა, მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას, რაც ექვემდებარება მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას, მოითხოვს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მოიძიოს და კეთილსინდისიერად გამოიყენოს ისეთი სამართლებრივი, დიპლომატიური და/ან პრაქტიკული საშუალებები, რომლებიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მომჩივნის იმ უფლების დაცვას, რომლის დარღვევაც სასამართლომ დაადგინა. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფოზე *a fortiori* დამოკიდებული იმ ინდივიდუალური ღონისძიებების მიღება, რომლებიც მთლიანად მის იურისდიქციაშია, როგორცაა ეფექტიანი გამოძიების ჩატარება სასამართლოს მიერ დადგენილი პროცედურული დარღვევების გამოსასწორებლად (*Savridin Dzhurayev v. Russia*, 2013, §§ 253-255).

k. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

109. სასამართლომ არაერთ საქმეში წარმოადგინა აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებები, რომლებიც ეხებოდა 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს, კერძოდ, საკითხებს, რომლებიც ეხება საკუთრების უფლებებს სტრუქტურული პრობლემების კონტექსტში (*Broniowski v. Poland* [GC], 2004, § 190).

110. ასეთ შემთხვევებში სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღმოფხვრას ყველა დაბრკოლება იმ პირების მიერ მოცემული უფლებით ეფექტიანად სარგებლობისათვის, რომლებიც, შესაბამისი მომჩივნების მსგავსად, დაექვემდებარნენ იმ მდგომარეობას, რომელიც სასამართლომ კონვენციასთან შეუთავსებლად მიიჩნია ან, თუ აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფს, მიაკუთვნოს მათ შესაბამისი ანაზღაურება (*Maria Atanasiu and*

others v. Romania, 2010, § 231; *Broniowski v. Poland* [GC], 2004, § 194). ეს უკანასკნელი ელემენტი, როგორც წესი, გულისხმობს სამართლებრივი დაცვის საშუალების შექმნას, რათა პირებმა, რომლებმაც დაკარგეს ქონება, მიიღონ კომპენსაცია, რომელიც გონივრულობის ფარგლებში შეესაბამება ამ ქონების საბაზრო ღირებულებას (*Krasteva and others v. Bulgaria*, 2017, § 34).

111. სასამართლო ითვალისწინებს სხვადასხვა უფლებების და ინტერესების დაბალანსების სირთულეს სახელმწიფოს ეკონომიკისა და სამართლებრივი სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში. იგი ითვალისწინებს, რომ აღნიშნული რთული დავალებაა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების ჩართულობას მოითხოვს. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ფართო მიხედულების ფარგლები, როდესაც უნდა შეარჩიოს ღონისძიებები თუ როგორ უზრუნველყო საკუთრების უფლებების პატივისცემა ან მფლობელობასთან დაკავშირებული ურთიერთობების დარეგულირება (*Maria Atanasiu and others v. Romania*, 2010, § 233). რუმინეთში ქონებრივი უფლებების პატივისცემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მტკიცე სირთულეები, რომლებიც კომუნისტური ეპოქის დროს სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული ქონების საკითხებს ეხება, იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ თავიდან უნდა გადახედოს იმ ზომების თავდაპირველ დადებით შეფასებას, რომლებიც მიღებულ იქნა მარია ატანასიუს პილოტური გადაწყვეტილების შემდეგ. ამ ზომების სხვადასხვა ნაკლოვანება, რომელიც რამდენიმე წლის პრაქტიკით დადასტურდა, სასამართლომ გამოავლინა საქმეში *Valeanu and Others v. Romania*, 2022. მე-46 მუხლის კონტექსტში, გადაწყვეტილება ითხოვს უფრო გამარტივებულ ზომებს, რათა გაამარტივოს და განმარტოს ის პროცედურები და კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ინდივიდუალური გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელია. "საკმაოდ სიმბოლური მიზნებით" კეთდება წინადადება, რომ უპირატესობა მიენიჭოს კომპენსაციურ საშუალებებს ამ ქონებრივ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება ქონების მიმდინარე ღირებულებას და ამისთვის სათანადო დაფინანსება უნდა იქნეს გამოყოფილი. სასამართლომ ასევე მტკიცედ აღნიშნა ამ ეტაპზე ზედმეტი დაყოვნების თავიდან აცილების აუცილებლობა, რათა დაწესდეს მოკლე, მაგრამ რეალისტური და სავალდებულო ვადები (§§ 269-73).

112. ისეთ საქმეებში, სადაც სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა მომდინარეობს კანონებიდან, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ქირის ღირებულების კონტროლს, სასამართლომ მიუთითა, რომ დარღვევის გამოსასწორებელი ღონისძიების სახით, ქონების მესაკუთრეებს უნდა მიეცეთ ქირის იმ ოდენობით მიღების შესაძლებლობა, რომელიც შეესაბამება თავისუფალ ბაზარს. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა

დანერგოს სპეციალური და მკაფიოდ გაწერილი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მოიცავს ზიანის ანაზღაურებას, რათა მსხვერპლმა დადგენილ დარღვევასთან მიმართებით შეძლოს ეფექტიანი და რეალური კომპენსაციის მიღება (*Bittó and Others v. Slovakia*, 2014, §§ 134-135).

113. როდესაც დარღვევა გამოწვეულია პროცედურული გარანტიების არ არსებობით და მათ, ვისი ქონების უფლებაშიც განხორციელდა ჩარევა (წილების ან ფასიანი ქაღალდების გაუქმება), ვერ შეძლეს ეფექტიანად გაესაჩივრებინათ ეროვნული ორგანოების მიერ მიღებული ზომები, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია მომჩივნებისთვის ხელმისაწვდომი იყოს ეფექტიანი სამართლებრივი დაცვა. აღნიშნული უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში (მიმდინარე საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასრულების შედეგ). იმის გათვალისწინებით, რომ ჩარევის განხორციელებიდან გასულია რამდენიმე წელი, სასამართლომ ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან არიდება მომჩივანთა პრეტენზიების განხილვისას (*Pintar and Others v. Slovenia*, 2021, § 114).

1. 4-ე დამატებითი ოქმის 2-ე მუხლი

114. საქმეში, რომელიც ეხებოდა გადაადგილების თავისუფლებას 4-ე დამატებითი ოქმის 2-ე მუხლის, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს ხანგრძლივი უნარშეზღუდულობა საკუთარი შიდა კანონმდებლობის აღსრულების მხრივ, რომელიც აღიარებულ ლტოლვილებსა და დამხმარე დაცვის მქონე პირებს საშუალებას აძლევს მიიღონ სამგზავრო დოკუმენტები, ასევე, შესაბამისი რეგულაციების მიღება ამ პროცედურის წინაპირობად, წარმოადგენს სტრუქტურულ პრობლემას. კომპეტენცია ეკისრებოდა მინისტრთა კომიტეტს, რათა განეხილა, რა ზომები უნდა მიიღოს მოპასუხე სახელმწიფომ როგორც ინდივიდუალურ, ასევე ზოგად დონეზე, იმ ვერდიქტის შესაბამისად, რომელიც ამ კონკრეტულ საქმეზე უფრო ფართო ზეგავლენას უნდა მოახდენს. სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხე სახელმწიფომ ყველა შესაბამისი საკანონმდებლო და ოპერაციული ზომა უნდა მიიღოს, რათა დაასრულოს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოსა და განკარგულებების მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფს ეფექტურ უფლებას ქვეყნის დატოვებაზე, და რომ ნებისმიერ პირს, რომელიც იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც იყო განმცხადებელი, ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს და მიიღოს სამგზავრო დოკუმენტი (*S.E. v. Serbia*, 2023, § 98).

ციტირებული საქმეების სია

წინამდებარე გზამკვლევაში ციტირებული პრეცედენტული სამართლის მაგალითები მიუთითებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ან განჩინებებზე და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) გადაწყვეტილებებზე ან ანგარიშებზე.

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ყველა მითითება ეხება სასამართლოს პალატის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. აბრევიატურა “(dec.)” მიუთითებს, რომ ციტირებულია სასამართლოს განჩინება, ხოლო “[GC]” მიუთითებს, რომ საქმე განიხილა დიდმა პალატამ.

პალატის გადაწყვეტილებები რომლებიც არ იყო საბოლოო კონვენციის 44-ე მუხლის მნიშვნელობით იმ მომენტისთვის, როდესაც მოხდა ამ გზამკვლევის საბოლოო ვერსიის შედგენა, მონიშნულია ვარსკვლავის (*) ნიშნით. კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა, როდესაც: a) მხარეები განაცხადებენ, რომ ისინი არ ითხოვენ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემას, ან b) პალატის გადაწყვეტილების თარიღიდან სამი თვის განმავლობაში მათ არ მოუთხოვიათ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა, ან c) დიდი პალატის კოლეგია უარყოფს 43-ე მუხლის საფუძველზე საქმის დიდი პალატისათვის გადაცემის მოთხოვნას.“ იმ შემთხვევებში, როდესაც დიდი პალატის კოლეგია მიიღებს თხოვნას საქმის გადაცემის თაობაზე, პალატის გადაწყვეტილება არ ხდება საბოლოო და ამგვარად, მას არ აქვს იურიდიული ძალა; საბოლოო ხდება დიდი პალატის მიერ ამის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება.

გზამკვლევის ელექტრონულ ვერსიაში მოცემული საქმეების ჰიპერბმულები მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზაზე (HUDOC) (<http://hudoc.echr.coe.int>), რომელიც უზრუნველყოფს წვდომას სასამართლოს (დიდი პალატის, პალატებისა და კომიტეტების გადაწყვეტილებები და განჩინებები, კომუნიცირებული საქმეები, საკონსულტაციო დასკვნები და სამართლებრივი შეჯამებები პრეცედენტული სამართლის საინფორმაციო ჩანაწერიდან) და კომისიის (გადაწყვეტილებები და ანგარიშები) პრეცედენტულ სამართალსა და მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციებზე.

სასამართლო თავის გადაწყვეტილებებს და განჩინებებს ორ ოფიციალურ ენაზე - ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე - იღებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზა (HUDOC), ასევე, მოიცავს ბევრი მნიშვნელოვანი საქმის თარგმანს ოცდაათზე მეტ არაოფიციალურ ენაზე და ასევე, ბმულებს მესამე მხარეების მიერ მომზადებულ პრეცედენტული სამართლის დაახლოებით ას ელექტრონულ კრებულზე. ამ გზამკვლევაში ციტირებული საქმეების სხვადასხვა ენებზე ხელმისაწვდომი ვერსიების ნახვა შესაძლებელია HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში „ნათარგმნი ვერსიების“ ლილაკზე დაჭერით, რომელზე გადამისამართებაც მოხდება საქმესთან დაკავშირებულ ჰიპერბმულზე გადასვლით.

—A—

Abuyeva and Others v. Russia, no. 27065/05, 2 დეკემბერი, 2010
Abu Zubaydah v. Lithuania, no. 46454/11, 31 მაისი, 2018
A.D. v. Malta, no. 12427/22, 17 ოქტომბერი 2023
Advance Pharma sp. z o.o v. Poland, no. 1469/20, 3 თებერვალი, 2022
Al-Saadoon and Mufdhi v. the United Kingdom, no. 61498/08, ECHR 2010 Aliyev v.
Al-Hawsawi v. Lithuania, no. 6383/17, 16 იანვარი 2024
Azerbaijan, nos. 68762/14 and 71200/14, 20 სექტემბერი, 2018
Al Nashiri v. Poland, no. 28761/11, 24 ივლისი, 2014
Al Nashiri v. Romania, no. 33234/12, 31 მაისი 2018
Ananyev and Others v. Russia, nos. 42525/07 and 60800/08, 10 იანვარი, 2012
Aslakhanova and Others v. Russia, nos. 2944/06 and 4 others, 18 დეკემბერი, 2012
Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, ECHR 2004-II
Association “21 დეკემბერი, 1989” and Others v. Romania, nos. 33810/07 and 18817/08, 24
მაისი, 2011
Auad v. Bulgaria, no. 46390/10, 11 ოქტომბერი, 2011

—B—

Baybaşın v. the Netherlands, no. 13600/02, 6 ივლისი, 2006
Besnik Cani v. Albania, no. 37474/20, 4 October 2022
Biblical Centre of the Chuvash Republic v. Russia, no. 33203/08, 12 ივნისი, 2014
Bittó and Others v. Slovakia, no. 30255/09, 28 იანვარი, 2014
Boutaffala v. Belgium, * no. 20762/19, 28 ივნისი, 2022
Broniowski v. Poland [GC], no. 31443/96, ECHR 2004-V
Brumărescu v. Romania (just satisfaction) [GC], no. 28342/95, ECHR 2001-I
Burmych and Others v. Ukraine (striking out) [GC], nos. 46852/13 et al, 12 ოქტომბერი,
2017

—C—

Cestaro v. Italy, no. 6884/11, 7 აპრილი, 2015
Claes and Others v. Belgium, nos. 46825/99 and 6 others, 2 ივნისი, 2005
Corsacov v. Moldova, no. 18944/02, 4 აპრილი, 2006

—D—

D v. Latvia, no. 76680/17, 11 იანვარი 2024
Dolińska-Ficek and Ozimek v. Poland, nos. 49868/19 and 57511/19, 8 ნოემბერი, 2021
Del Río Prada v. Spain [GC], no. 42750/09, ECHR 2013
Dragotoniū and Militaru-Pidhorni v. Romania, nos. 77193/01 and 77196/01, 24 მაისი,
2007

—E—

E.G. v. Poland (dec.), no. 50425/99, 23 სექტემბერი, 2008
Egmez v. Cyprus (dec.), no. 12214/07, 18 სექტემბერი, 2012
Elmazova and Others v. North Macedonia, nos. 11811/20 and 13550/20, 13 დეკემბერი
2022
Emre v. Switzerland (no. 2), no. 5056/10, 11 ოქტომბერი, 2011

—F—

Finucane v. the United Kingdom, no. 29178/95, ECHR 2003-VIII

—G—

Gasangusenov v. Russia, no. 78019/17, 30 მარტი, 2021
Gazsó v. Hungary, no. 48322/12, 16 ივლისი, 2015
Gençel v. Turkey, no. 53431/99, 23 ოქტომბერი, 2003
Georgia v. Russia (II) (just satisfaction) [GC], no. 38263/08, 28 აპრილი 2023
Gharibashvili v. Georgia, no. 11830/03, 29 ივლისი, 2008
Greens and M.T. v. the United Kingdom, nos. 60041/08 and 60054/08, ECHR 2010
Guðmundur Andri Ástráðsson v. Iceland [GC], no. 26374/18, 1 დეკემბერი, 2020
Guja v. the Republic of Moldova (no. 2), no. 1085/10, 27 თებერვალი, 2018

—H—

Henryk Urban and Ryszard Urban v. Poland, no. 23614/08, 30 ნოემბერი, 2010
Hirsi Jamaa and Others v. Italy [GC], no. 27765/09, ECHR 2012

—I—

Ilgar Mammadov v. Azerbaijan [GC], no. 15172/13, 29 მაისი, 2019
Ivanțoc and Others v. Moldova and Russia, no. 23687/05, 15 ნოემბერი, 2011

—J—

J.M.B. and Others v. France, nos. 9671/15 and 31 others, 30 იანვარი, 2020
Jurišić v. Croatia (No. 2), 8000/21, 7 ივლისი, 2022

—K—

Kavala v. Turkey, no. 28749/18, 10 დეკემბერი, 2019
Kavala v. Türkiye [GC], no. 28749/18, 11 ივლისი, 2022
Krasteva and Others v. Bulgaria, no. 5334/11, 1 ივნისი, 2017
Kuzmina and Others v. Russia, nos. 66152/14 and 8 others, 20 აპრილი, 2021

—M—

M.A. v. France, no. 9373/15, 1 თებერვალი, 2018
Maestri v. Italy [GC], no. 39748/98, ECHR 2004-I
Maria Atanasiu and Others v. Romania, nos. 30767/05 and 33800/06, 12 ოქტომბერი
Mehmet Zeki Doğan v. Türkiye (No. 2), no. 3324/19, 13 თებერვალი 2024
Miranda Magro v. Portugal, no. 30138/21, 9 იანვარი 2024
Moreira Ferreira v. Portugal (no. 2) [GC], no. 19867/12, 11 ივლისი, 2017

—N—

Navalnyy v. Russia (no. 3), no. 36418/20, 6 ივნისი 2023
Nevzlin v. Russia, no. 26679/08, 18 იანვარი, 2022
Novruk and Others v. Russia, nos. 31039/11 and 4 others, 15 მარტი, 2016

—O—

Ocalan v. Turkey [GC], no. 46221/99, ECHR 2005-IV
OOO Informatsionnoye Agentstvo Tambov-Inform v. Russia, no. 43351/12, 18 მაისი, 2021

—P—

Papamichalopoulos and Others v. Greece (Article 50), 31 ოქტომბერი, 1995, Series A no. 330-B
Pelladoah v. the Netherlands, 22 სექტემბერი, 1994, Series A no. 297-B
Pintar and Others v. Slovenia, nos. 49969/14 and 4 others, 14 სექტემბერი, 2021
Polgar v. Romania, no. 39412/19, 20 ივლისი, 2021

—R—

Rezmiveş and Others v. Romania, nos. 61467/12 and 3 others, 25 აპრილი, 2017
Rooney v. Ireland, no. 32614/10, 31 ოქტომბერი, 2013
Rutkowski and Others v. Poland, nos. 72287/10 and 2 others, 7 ივლისი, 2015

—S—

S.E. v. Serbia, no. 61365/16, 11 ივლისი 2023
S.K. v. Russia, no. 52722/15, 14 თებერვალი, 2017
Şahin Alpay v. Turkey, no. 16538/17, 20 მარტი, 2018
Saïdi v. France, 20 სექტემბერი, 1993, Series A no. 261-C
Sakhnovskiy v. Russia [GC], no. 21272/03, 2 ნოემბერი, 2010
Savridin Dzhurayev v. Russia, no. 71386/10, ECHR 2013
Schelling v. Austria (no. 2) (dec.), no. 46128/07, 16 სექტემბერი, 2010
Scoppola v. Italy (no. 2), no. 10249/03, 17 სექტემბერი, 2009
Scordino v. Italy (no. 1) [GC], no. 36813/97, ECHR 2006-V
Selahattin Demirtaş v. Turkey (no. 2) [GC], no. 14305/17, 22 დეკემბერი, 2020

Sevdari v. Albania, no. 40662/19, 13 დეკემბერი 2022
Smith v. the United Kingdom, no. 64729/01, 20 მაისი, 2008
Soares de Melo v. Portugal, no. 72850/14, 16 თებერვალი, 2016
Soering v. the United Kingdom, 7 ივლისი, 1989, Series A no. 161
Steck-Risch and Others v. Liechtenstein (dec.), no. 629061/08, 11 მაისი, 2010
Ștefan-Gabriel Mocanu and Others v. Romania, no. 34323/21 and 8 others, 12 დეკემბერი 2023
Stoyanova v. Bulgaria,* no. 56070/18, 14 ივნისი, 2022
Sukachov v. Ukraine, no. 14057/17, 30 იანვარი, 2020
Suljagić v. Bosnia and Herzegovina, no. 27912/02, 3 ნოემბერი, 2009
Suso Musa v. Malta, no. 42337/12, 23 ივლისი, 2013
Szolcsán v. Hungary, no. 24408/16, 30 მარტი 2023

—T—

Taganrog LRO and Others v. Russia,* nos. 32401/10 and 19 others, 7 ივნისი, 2022
Tagayeva and Others v. Russia, nos. 26562/07 and 6 others, 13 აპრილი, 2017
Taşdemir v. Turkey (dec.), no. 52538/09, 12 მარტი, 2019
Torreggiani and Others v. Italy, nos. 43517/09 and 6 others, 8 იანვარი, 2013
Tsonyo Tsonev v. Bulgaria (no. 4), no. 35623/11, 6 აპრილი, 2021
Tunikova and Others v. Russia, nos. 55974/16 and 3 others, 14 დეკემბერი, 2021

—U—

Ulku Ekinci v. Turkey, no. 27602/95, 16 ივლისი, 2002

—V—

Valeanu and Others v. Romania, nos. 59012/17 and 27 others, 8 ნოემბერი 2022
Varga and Others v. Hungary, nos. 14097/12 and 5 others, 10 მარტი, 2015
Verein gegen Tierfabriken Schweiz (VgT) v. Switzerland (no. 2) [GC], no. 32772/02, ECHR 2009
Virabyan v. Armenia, no. 40094/05, 2 ოქტომბერი, 2012

—W—

Wałęsa v. Poland, no. 50849/21, 23 ნოემბერი 2023
Wasserman v. Russia (no. 2), no. 21071/05, 10 აპრილი, 2008
Willems and Gorjon v. Belgium, nos. 74209/16 and 3 others, 21 სექტემბერი, 2021

—Y—

Yüksel Yalçinkaya v. Türkiye [GC], no. 15669/20, 26 სექტემბერი, 2023